ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ უნივერსიტეტი

30 ოქტომბერი, 2017 | ორშაბათი, №10 (2212)

U.S. News&World Report-ის 2018 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 359-ე ადგილი დაიკავა

2018 წლის კვლევებში მსოფლიოს 74 ქვეყნის 1250 საუკეთესო უნივერსიტეტი მოხვდა. საქართველოდან რანჟირებაში მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოხვდა და უსწრებს ისეთ ცნობილ უნივერსიტეტებს, როგორიცაა ვარშავის, ბორდოს, გისენის და სხვა.

გვ. 16

წლის საუკეთესო მეცნიერები თსუ-დან

2017 წლის „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი“ 10 ოქტომბერს გრანდიოზული ღონისძიებით დასრულდა — გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში წლის საუკეთესო მეცნიერები დაჯილდოვდნენ. ასევე, გამოვლინდნენ ფოტოკონკურსში და ჟურნალისტიკის სტუდენტურ კონკურსებში გამარჯვებულებიც.

„შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი — ტიმოთი ბლაუველტი; საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო მეცნიერი — თამარ მახარობლიძე; საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი — ლევან ტიელიძე; 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი — გიორგი ტეფნაძე; 2017 წლის საუკეთესო მეცნიერი — რამაზ ძაცარავა; 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი — თემურ ზაქარაშვილი, ვასილ კუხიანიძე და დავით ქურიძე.

გამარჯვებულებმა მიიღეს როგორც ფულადი, ასევე, მინის გრავირებული ჯილდოები და სერტიფიკატები. გარდა ამისა, წელს პირველად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოში სამეცნიერო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დამსახურების სერტიფიკატები გადაეცა 24 მეცნიერს.

გვ. 3

თბილისის მერი უნივერსიტეტს თანადგომას ჰპირდება

კახა კალაძე: „ყველაფერს გავაკეთებ ჩემს გუნდთან ერთად, რომ განათლების სისტემა და, კონკრეტულად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი იყოს მოწოდების სიმაღლეზე!

— როგორც თსუ-ის კურსდამთავრებულს, რა მოგცათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა?

— მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი სპორტსმენი ვიყავი, აქ მიღებულმა განათლებამ დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში. განათლება და ინტელექტი ხელს გიწყობს — ნებისმიერ სფეროში წინ წახვიდე, არ აქვს მნიშვნელობა — ეს სპორტი იქნება, ბიზნესი თუ სხვადასხვა მიმართულება. ამიტომ ჩემს ცხოვრებაში ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ წარმატებებში, რაც მქონდა წლების განმავლობაში.

— თქვენი გადასახედიდან, რა შეგიძლიათ გააკეთოთ უნივერსიტეტისთვის?

— ზოგადად, განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ჩვენს ქვეყანაში და პრიორიტეტადაც სახელდება. პოლიტიკოსებმა და, საერთოდ, საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი განათლებული ახალგაზრდა ჰყავდეს ქვეყანას.

რაც შეეხება ჩემს შესაძლებლობებს, ყოველთვის მზად ვარ, ვიყო ჩართული საკეთილდღეო საქმეებში. ჩემი დღევანდელი პოზიციიდან, თანამდებობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებ ჩემს გუნდთან ერთად, რომ განათლების სისტემა და, კონკრეტულად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი იყოს მოწოდების სიმაღლეზე. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნივერსიტეტია ქვეყანაში. აქ ბევრი წარმატებული ადამიანი სწავლობდა, რომლებსაც დღეს საქართველოს სახელი გააქვთ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

ნომერში

■ ცვლილებები თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში — გვ. 4

■ ქართული სინამდვილისთვის საჭირო კვლევები — გვ. 5

■ იდეოლოგიის გავლენა ენათმეცნიერებაზე — გვ. 6

■ ქართული ანდაზები და იდიომები ელექტრონულ ბაზაშია

— გვ. 9

■ ქირურგიის ახალი ჰორიზონტები — გვ. 7

■ საერთაშორისო კონგრესი ონკოლოგიურ ურولოგიაში და მკურნალობის უახლესი მეთოდები — გვ. 7

■ რა უჯდებათ რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს თბილისში ცხოვრება? — გვ. 8



— გვ. 16

■ კვალი, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელობასაც და მომავალსაც — გვ. 15

მემორანდუმი თსუ-სა და „ევროკავშირი – საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები წამყვან ბიზნეს ორგანიზაციებში გაივლიან სასწავლო პრაქტიკას. ამის საშუალებას სტუდენტებს თსუ-სა და „ევროკავშირი – საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ (EUGBC) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მისცემს. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და „ევროკავშირი – საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ გენერალურმა მდივანმა ზვიად ჭუმბურიძემ მოაწერეს.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, ხელშეკრულების შედეგად თსუ-ის სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ექნებათ. „საქართველო-ევროკავშირის ბიზნეს საბჭო“ თანამშრომლობს ევროგაერთიანების ყველა ქვეყანასთან ბიზნესის სექტორში. მემორანდუმით გათვალისწინებული სტაჟირების პროგრამის მეშვეობით ჩვენს სტუდენტებს წამყვან ბიზნეს ორგანიზაციებში სტაჟირების და დასაქმების პერსპექტივა ექნებათ. ამ სივრცეში მოხდება ბიზნესის და სწავლების დაკავშირება“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

„თსუ-ის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ ჩვენთან გაიარონ 2-3 თვიანი პრაქტიკა. მასში ჩაერთვებიან ჩვენი წევრი ბიზნეს კომპანიები. სტუდენტებს ექნებათ კონტაქტები 75-მდე ბიზნესკომპანიასთან. გაიმართება ბიზნეს კონფერენციები, ბიზნეს მრგვალი მაგიდები, შეხვედრა ბიზნეს წარმომადგენლებთან, უცხოელებთან, საელჩოებთან, სავაჭრო არტაშეებთან. სტუდენტებისთვის ეს იქნება ძალიან საინტერესო“, – განაცხადა „ევროკავშირი – საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ გენერალურმა მდივანმა ზვიად ჭუმბურიძემ.

მემორანდუმის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ბიზნეს საბჭოში სტაჟირების პრაქტიკულ კურსს გაივლიან და ჩაერთვებიან EUGBC-ის პროექტების ორგანიზება-განხორციელების პროცესში. მემორანდუმი, ასევე, ითვალისწინებს ორმხრივ თანამშრომლობას საგანმანათლებლო საკითხებში, რაც სტუდენტებისთვის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის, ევროპასთან ვაჭრობის მიმართულებაზე თემატური ლექციების ჩატარებას გულისხმობს.

მემორანდუმი თსუ-სა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული არქივი ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ. ეროვნული არქივი და უნივერსიტეტი 2018 წლისთვის ერთობლივად მოამზადებენ და გამოსცემენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის სამენოვან (ქართულ-ფრანგულ-ინგლისურ) მემორიალურ ალბომს. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, უნივერსიტეტის თანამშრომლობა ეროვნულ არქივთან რამდენიმე მიმართულებით გაგრძელდება: გამოიცემა საიუბილეო სამენოვანი ალბომი, რომელიც მიეძღვნება საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს. გარდა ამისა, დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციები, ასევე საზაფხულო სკოლა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ემიგრანტები. „ეს არის თანამშრომლობის ძალიან კარგი ფორმატი. გაისად ბევრი საინტერესო თარიღი გველოდება. 8 თებერვალს ვიწყებთ უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს აღნიშვნით, მაისში კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილეს აღვნიშნავთ“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„დღეს გაფორმებული მემორანდუმი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული არქივისთვის, ვინაიდან ამით იწყება კიდევ ერთ ახალ პროექტზე ერთობლივი მუშაობა. ეს პროექტი მოიცავს საქართველოს მთავრობის პირველი ხელმძღვანელის შესახებ ძალიან საინტერესო გამოცემის მომზადებას“, — აღნიშნა საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი ფონდებია დაცული როგორც ეროვნულ არქივში, ასევე უნივერსიტეტში და გამოვლინდება ყველაზე მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც მომავალ წელს საიუბილეო ალბომის სახით გამოიცემა.

მემორანდუმის მიზანია ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ქართველი და უცხოელი სტუდენტების და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება ახალი გამოცემების მომზადებითა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაციის საშუალებით.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ფოტოები, თბილისის „ოხრანკის“ მიერ შედგენილი დაპატიმრების ბარათი, ქართული და ფრანგული დიპლომატიური პასპორტები, სავიზიტო ბარათი, დამფუძნებელი კრების წევრად არჩევის მოწმობა, 1924 წლის აჯანყების მომზადების შესახებ გაგზავნილი დაშიფრული წერილები.

გზავნილი ადმინისტრაციას

თემო ბეჟანიძე, ***სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი:***

– ძალიან მნიშვნელოვანი და გადაუდებელიც მგონია „თარგმნეს“ პროცესის განახლება ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში, მცირე გამონაკლისების გარდა, არ ხდება ალტერნატიული ცოდნის შეთავაზება სტუდენტებისთვის, არსებული მასალები კი მნიშვნელოვნად ექვემდებარება განახლებას.

საჭიროა, რომ გლობალურად მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ტექსტები, ესეები თუ აკადემიური ნაშრომები დროულად მოგვეწოდებოდეს სტუდენტებს ქართულ ენაზე. უნივერსიტეტის მწირი რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ აღნიშნულ პროცესში თავად სტუდენტებიც ჩაერთონ.

ინეზა გაგნიძე, ***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი:***

– დავასახელებ ორ აქტუალურ პრობლემას: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის თანხის მოცულობის გაზრდა; 2. სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება. რატომ ვფიქრობ ასე? – 1) 2008-2010 წლებში ვიყავი სამეცნიერო სამსახურის უფროსი ფაკულტეტზე და ყოველწლიურ ანგარიშებში ვწერდი, რომ არც ერთი წარმომადგენელი ჩვენი ფაკულტეტიდან არ გამოდიოდა მოხსენებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად სრულიად შეიცვალა ეკონომიკის თეორია და, შესაბამისად, ფაკულტეტი დადგა დიდი გამოწვევის წინაშე – მოემზადებინა სრულიად ახალი სასწავლო მასალა და მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც მას საბჭოთა პერიოდში მიღებული განათლება არ გამოადგებოდა). თუმცა, როგორც კი გაჩნდა ფაკულტეტის მხრიდან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების შესაძლებლობა, ზემოაღნიშნული ნულოვანი მაჩვენებელი სასიკეთოდ შეიცვალა და მიმდინარე წელს 60-ზე მეტმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. თუმცა, თუ იქნება იმის შესაძლებლობა, რომ გაიზარდოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლში გამოყოფილი თანხები, მოხერხდება იმ პერსონალის მეორედ გამგზავრება უცხოეთში, ვინც არის ან სექციის ხელმძღვანელი, ან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის/ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი ან/და კონფერენციის ორგანიზატორი. ასეთ პირობებში გაიზრდება ჩვენი უნივერსიტეტის ცნობადობა და მეტი შესაძლებლობები გაჩნდება საერთაშორისო საგრანტო განაცხადებში მონაწილეობის მისაღებად. 2) ცნობილია, რომ უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაღალრეიტინგულ, იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. ასეთ ჟურნალებში ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით ჩატარებული კვლევისა და მათემატიკური ანალიზის გარეშე სტატია უბრალოდ არ მიიღება. მეორე მხრივ, ფაკულტეტიდან რამდენჯერმე გაიგზავნა წერილი რუსთაველის ფონდში ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებისთვის (ზოგადად, ისეთი მიმართულებებისთვის, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ ზუსტ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან შედარებით) ცალკე კვოტის გამოყოფის თაობაზე, თუმცა შედეგს ვერ მივაღწიეთ. არადა, გაუგებარია, მაგალითად, როგორ შეიძლება შედარდეს უნივერსიტეტის სამეწარმეო შესაძლებლობების კვლევა და რომელიმე უძველესი ქართული ხელნაწერის გაშიფვრა-შესწავლა. ასეთ სიტუაციაში ვფიქრობ, სასურველია ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოიყოს თანხები სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად, ვინაიდან პერსონალის ხელფასით კვლევების ჩატარება შეუძლებლად მიმაჩნია. საჭიროა საკონკურსო კრიტერიუმების ისე შერჩევა, რომ უკვე მიღწეული შედეგები გაუმჯობესდეს.

ქეთევან მოსაშვილი, ***ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი:***

– ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურის იდეაა და, ასევე, სტუდენტებისგანაც დიდი მოთხოვნაა, რომ ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნას ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრის მიზანია სტუდენტების ფსიქოლოგიურ-ემოციური დახმარება, რადგან სტუდენტობა სირთულეებთან გამკლავებასაც გულისხმობს. მეორე მიზანი გახლავთ მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა-გაღრმავება. მიმდინარე წლის გაზაფხულზე სტუდენტების ერთ ჯგუფთან საკონსულტაციო შეხვედრები უკვე ჩავატარეთ, ეს გახლდათ პილოტური შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა ამ ცენტრის ფუნქციონირების აუცილებლობა. ამ ეტაპზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბების ფორმალურ მხარეს ვაგვარებთ, თუმცა აუცილებელია ფინანსური მხარდაჭერაც. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ დახმარება თსუ-ის ადმინისტრაციამ გაგვიწიოს, რადგან ეს როგორც ფაკულტეტის პროფესურის, ასევე სტუდენტების დიდი სურვილია. საწყის ეტაპზე ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს მოემსახურება, თუმცა, ვგეგმავთ, რომ სრულიად უნივერსიტეტის სტუდენტობაც მოვიცვათ. უფრო შორეული გეგმა სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევასაც ითვალისწინებს, თუმცა ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

იურიდიული ფაკულტეტის კურსის სტუდენტები (არ ისურვეს სახელის და გვარის დასახელება):

– II კორპუსი სავალალო მდგომარეობაშია, არ არის გათბობა, თანაც დისკრიმინაციას აქვს ადგილი, რადგან ქალების საპირფარეშო გარემონტებულია, მამაკაცების – არა. ასევე, არ გვაქვს ლექციებს შორის შუალედურ დროს ადგილი, სადაც შეიძლება ჩამოჯდე და დაისვენო.

– იურიდიულ ფაკულტეტზე ნეპოტიზმის ბევრი შემთხვევაა – მრავლად არიან ცოლ-ქმარი, ძმები. ნეპოტიზმი ზოგადად დაუშვებელია. იურიდიულ ფაკულტეტზე აქტუალურია ეს პრობლემა, წესით სამართალს ასწავლიან და ამ ყველაფერს უნდა ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა პირიქით არის. ჩვენს გვარებს ვერ დავასახელებთ, ვინაიდან ასეთ თემაზე ვისაუბრეთ.

წლის საუკეთესო მეცნიერები თსუ-დან

მაია ტორაძე

1-ლი გვერდიდან

გამარჯვებულებს შორის იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები, სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი და სტუდენტები. საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო მეცნიერად დასახელდა თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი ლევან ტიელიძე; 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ჯგუფად აღიარებულ იქნა თსუ-ის ფიზიკოსთა ერთი ჯგუფი რამაზ ლომსაძის, მალხაზ გოჩიტაშვილის, რომან კეზერაშვილის და ნუგზარ მოსულიშვილის შემადგენლობით, მეცნიერების თემაზე შექმნილი საუკეთესო სიუჟეტის ავტორად დასახელდა თსუ-ის დოქტორანტი თათია მთვარელიძე, ხოლო საუკეთესო საჟურნალე სტატიის ავტორად – თსუ-ის მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტი სალომე ბელქანია.

ჩვენ გავესაუბრეთ გამარჯვებულ მეცნიერებს და დავინტერესდით, კონკრეტულად რა სამეცნიერო სამუშაოებისთვის მიენიჭათ მათ ეს ჯილდო.

სამომავლოდ ჩემი პრიორიტეტია საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება

***ინტერვიუ გეოგრაფიის დოქტორთან, თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთან, გლაციოლოგ-გეომორფოლოგთან* ლევან ტიელიძესთან**

— ლევან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებისთვის უაღრესად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გამარჯვებულთა შორის არის მის წიაღში აღზრდილი ახალგაზრდა მეცნიერი. კონკრეტულად რა პროექტის, ან ნაშრომისთვის მოგენიჭათ ეს ჯილდო?

— შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსი საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის უკვე ორი წელია არსებობს. ჯილდო კონკურსანტს ენიჭება არა კონკრეტულად ერთი პროექტის ან ნაშრომისთვის, არამედ მეცნიერებაში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, აგრეთვე განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისთვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისების და პოპულარიზაციისთვის. ჩემ შემთხვევაში ეს იყო საქართველოს და კავკასიონის მყინვარების შესახებ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციების და მონოგრაფიების სახით, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით.

— რა სამეცნიერო ინტერესები გაქვთ ამჟამად?

— ჩემი კვლევები ეხება საქართველოს და კავკასიის მყინვარების შესწავლას როგორც თანამედროვე, ასევე გეოლოგიურ წარსულში. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ჩავატარეთ კავკასიონის მყინვარების ინვენტარიზაცია, რომელიც ბოლო ნახევარი საუკუნეა, არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ კვლევაში, უცხოურ სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან ერთად, ლიდერის ფუნქციას თსუ-ის გეოგრაფიის ინსტიტუტი ასრულებდა. კვლევებს ვატარებთ როგორც საველე, ასევე კოსმოსური სურათების და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მყინვარების შესწავლის პარალელურად, განვაახლეთ გეომორფოლოგიური კვლევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, რომლის საფუძველზეც მომავალ წელს შვეიცარიაში, Springer international-ის მიერ, დაიბეჭდება ინგლისურენოვანი მონოგრაფია.

— რამდენად მასტიმულირებელია თქვენთვის ეს ჯილდო?

— მსგავსი ჯილდოების გადაცემა დიდი სტიმულია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვა ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაც, რომელთაც უკვე გაუჩნდათ სურვილი, რომ მომავალ წელს თვითონაც გახდნენ ამ ჯილდოს მფლობელები.

დავამატებდი იმას, რომ, სამწუხაროდ, მეცნიერება არც ისე პოპულარულია საქართველოში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობაში. ერთეული მეცნიერების წახალისების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას კიდევ უფრო მეტი სტიმული, მხარდაჭერა, დაფასება და პირობების შექმნა სჭირდება. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ინსტიტუტებში დაიხვეწოს და შეიქმნას შესაბამისი გარემო, სადაც მოხდება ახალგაზრდების დაინტერესება და მეცნიერებაში ჩართულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოდან წასული თითოეული ახალგაზრდა მეცნიერი უახლოეს მომავალში შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს ჩვენ ქვეყანას.

აღიარება ფუნდამენტურ კვლევებში შეტანილი წვლილისათვის

***ინტერვიუ ფიზიკა-მათემატიკის დოქტორთან, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ატომური ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგესთან* რამაზ ლომსაძესთან**

— ბატონო რამაზ, თქვენი სამეცნიერო ჯგუფის კვლევების შესახებ, რომელიც ატომურ ნაწილაკთა დაჯახებების ფიზიკას შეეხება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილია. ორიოდე სიტყვით მოგვიყევით, კონკრეტულად რომელი კვლევითი პროექტებისთვის გამოგარჩიათ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა?

— ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ატომურ ნაწილაკთა დაჯახებების ფიზიკისადმი ინტერესმა მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია, თუმცა ამ დარგის სრულყოფილი განვითარება მეთოდურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, მოითხოვს კვლევის კომპლექსურ მიდგომას და მკვლევართა მაღალ კვალიფიკაციას.

პირველ რიგში ასეთი საჭიროება იგრძნობა, როცა კვლევები ეხება ჩაკეტილი ელექტრონული გარსის მქონე ნაწილაკებს. რეალიზებული პროცესების შესახებ საიმედო მონაცემების მიღებას და წარმართვის მექანიზმების დადგენას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია და ინტერესი მსგავსი კვლევებისადმი დიდია. ამ ფაქტზე მეტყველებს მსგავს კვლევებში უცხოეთის წამყვანი ჯგუფების აქტიური ჩართულობა. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული მიმართულებით მხოლოდ ჩვენი ექსპერიმენტული ჯგუფი მუშაობს, რომელიც ინტენსიურადაა ჩართული ხსენებულ დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში.

წლების განმავლობაში ჩვენს ჯგუფს დაუგროვდა დიდძალი გამოცდილება. მას ხელეწიფება წარმართოს არა მარტო რთული ექსპერიმენტული კვლევები, არამედ მიღებულ შედეგებს მოუძებნოს თეორიული ინტერპრეტაცია.

— ამგვარი კვლევების ჩასატარებლად, ცხადია, საერთაშორისო კავშირები დიდ როლს თამაშობს. თქვენ შემთხვევაში რომელ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან არის კომუნიკაცია და რა გამოცდილებას იძენთ ამ კავშირებით?

— დიახ, ასეთი გამოცდილების შეძენა, გარკვეულწილად, კოლაბორაციული კავშირების შედეგიცაა. მაგალითად, მე, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, მრავალგზის ვიყავი მიწვეული გისენის (გერმანია), რენოს, როლას, ბერკლის, ნიუიორკის უნივერსიტეტებსა და ლაბორატორიებში კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. მიღებული შედეგები ასახულია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. ჯგუფის წევრს მალხაზ გოჩიტაშვილს აქვს უცხოეთში მუშაობის გამოცდილება, კერძოდ, მუშაობდა სანკტ-პეტერბურგში და ჰოლანდიის „FOM“ ინსტიტუტში.

ამავე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ნუგზარ მოსულიშვილი ასევე ჩართულია „ატლას“ (ცერნი) ექსპერიმენტებში, ხოლო კიდევ ერთი წევრი — რომან კეზერაშვილი წარმატებით ხელმძღვანელობს ნიუ იორკის ტექნოლოგიური კოლეჯის თეორიული ფიზიკის განყოფილებას.

კოლაბორაციულ კავშირებზე და ჩვენი ჯგუფის სისტემატურ კვლევებზე მიუთითებს აღნიშნულ დარგში შესრულებული 5 საკვალიფიკაციო ნაშრომი, 120-მდე გამოქვეყნებული შრომა, ბიულეტენებში და მონაცემთა ბაზაში შედეგების განთავსება. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები აღიარებულია უცხოელი კოლეგების მიერ. ამაზე მეტყველებს ერთობლივ გრანტებში ჩვენი ჯგუფის ჩართულობა და ჯგუფის წევრების სისტემატური მიწვევა საერთაშორისო კონფერენციებზე, მათ შორის, როგორც მიწვეულ ლექტორებად.

— რა სამომავლო გეგმები აქვს თქვენს სამეცნიერო ჯგუფს?

— ჩვენ მიერ მიღებული და გამოქვეყნებული საიმედო მონაცემებით დაინტერესებულია სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტი (აშშ). ასევე ჩვენ დაგვევალა, პასუხი გაგვეცა წლების განმავლობაში ჩაკეტილი გარსის მქონე ნაწილაკთა დაჯახების დროს რეალიზებულ პროცესებში არსებულ პრობლემებზე. ამ მიზნით, ჩვენს ჯგუფში შეიქმნა კვლევის გაუმჯობესებული მეთოდები, მოხერხდა ექსპერიმენტული დანადგარების ავტომატიზაცია. ჩვენი ჯგუფის მიერ კონსტრუირებულია ფართო შესაძლებლობების მქონე ანალიზატორი. კვლევის კომპლექსური მიდგომით მოგვეცა საშუალება — ამ სპეციფიკურ უმრავლეს საკვლევ წყვილებზე პირველად ჩაგვეტარებინა გაზომვები. ამჟამად სამეცნიერო ჯგუფი წარმატებით აგრძელებს სისტემატურ კვლევებს ასტროფიზიკური ამოცანების გადასაწყვეტად. მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს მიღებული მაღალაღგზნებულ მოლეკულურ მდგომარეობათა შესწავლის მიზნით.

ჯგუფი ოპერატიულად რეაგირებს კვლევის აქტუალურ და თანამედროვე გამოწვევებზე. ამ მხრივ საინტერესო გაზომვები ტარდება ჩვენ მიერ დაბალი ენერგიის (5-120 ევ) ელექტრონების დაჯახებით რთულ ბიოლოგიურ მოლეკულებზე, მათ შორის. ე.წ. „ფულორენებზე“. ამ ნივთიერებათა ფრაგმენტაციის შესწავლით მნიშვნელოვანი განაცხადი კეთდება ზეგამტარებსა და მედიცინაში. უახლოეს მომავალში მიღებული შედეგები აისახება ერთობლივ პუბლიკაციებში.

* * *

მალხაზ გოჩიტაშვილი, ***ფიზიკის აკადემიური დოქტორი, სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის წევრი:***

— მე ბირთვულ ფიზიკაშიც ვმუშაობ და ატომურ ფიზიკაშიც და უნდა ვთქვა, რომ ეს დარგი — ატომურ ნაწილაკთა დაჯახების ფიზიკა, პროგრესირებადია. ატომური დაჯახებები არის ყველაფრის საფუძველი და ამას მე სტუდენტებსაც ვასწავლი. უნდა აღვნიშნო, რომ ფიზიკის ბევრი მიმართულება განვითარებულა თავის დროზე და მერე მისი განვითარება შეჩერებულა, სრული კვეთებისადმი ინტერესი, კერძოდ, აბსოლუტური მნიშვნელობების გაზომვა და აქტუალობა კი არასოდეს მოკვდება, რადგან ეს არის როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი დარგი. ვმუშაობდი ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებსა და მეტასტაბილური ნაწილაკების გაზომვაზე, რომელიც დღესაც აქტუალურია, რადგან სრული კვეთები ამ დარგში მომუშავე მეცნიერებსაც სჭირდებათ. მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ მაგნიტური ქარიშხალი არის დამუხტული ნაწილაკების დიდი ნაკადი, რომელსაც მაგნიტური ველი მოჰყვება და დედამიწის მაგნიტური ველის შეშფოთებას იწვევს. ასეთ დროს ხდება ნაწილაკების აჩქარება ატმოსფეროს ზედა ფენაში, იწყება მათი ურთიერთქმედება აზოტის და ჟანგბადის მოლეკულებთან და, ამაზე რომ წარმოდგენა შეიქმნას, სწორედ ეს სრული კვეთები უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტად გაზომილი. ამიტომ, ეს დარგი აქტუალობას არასოდეს დაკარგავს.

მინდა ისიც დავამატო, რომ ჩვენი ნებისმიერი მოქმედება, სამეცნიერო კვლევა თუ აღიარება ახალგაზრდობის დაინტერესებისთვის უნდა გამოვიყენოთ. მათ გარეშე მომავალი არ იქნება.

ნუგზარ მოსულიშვილი, ***სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის წევრი:***

— ჩვენ ატომის ფიზიკის დარგში დიდი ხანია ვმუშაობთ, იმ დროიდან, როცა არც ტრანსპორტი იყო, არც შუქი გვქონდა და არც ხელფასი, მაგრამ არასოდეს გვიფიქრია ჯილდოზე. ამას ჩვენ ინტერესის და ფიზიკის სიყვარულის გამო ვაკეთებდით. ამ ყველაფრის „მოტორი“ იყო მაშინდელი ჩვენი ხელმძღვანელი ბორის კიკიანი, ზუსტად ისე, როგორც ახლა რამაზია ჩვენთვის. ჯგუფის აღიარება — ეს დიდი სტიმულია, რომ ვიღაცამ შეგვამჩნია და დაინახა ჩვენი შრომა. მარტო ჩვენ კი არა, ახალგაზრდებიც დაინახავენ, რომ სამეცნიერო შრომა ფასდება.

ცვლილებები თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში

შერთხია ბეროშვილი

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი დებულება დამტკიცებულია. წარმომადგენლობითმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას ინიციატივას სრული უმრავლესობით დაუჭირა მხარი. დოკუმენტში 16 ახალი ფუნქცია გაიწერა, 10 — უცვლელად შენარჩუნდა, ასევე უცვლელად შენარჩუნდა ბიუჯეტი, თუმცა დაემატა ერთი საშტატო ერთეული. ახალი დებულების მიხედვით, ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურში უქმდება სამსახურის უფროსის მოადგილის შტატი და ორი განყოფილება ჩამოყალიბდება — ერთი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, მეორე კი უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით იმუშავებს. სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას თქმით, ფუნქციების ასეთი სახით გადანაწილება ეფექტური მენეჯმენტის აუცილებელი წინაპირობაა. ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურს უბრუნდება უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო რანჟირების სისტემისთვის დოკუმენტების მომზადების მოვალეობაც.

„საჭირო გახდა ორი განყოფილების შემოთავაზება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო ეფექტურად გაუმკლავდება საქმიანობას. მოხდება ფუნქციების კონცენტრირება ორი ძირითადი მიმართულებით. დღევანდელი სტრუქტურის თანახმად, ხარისხის სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც პროფესიული განათლების მიხედვით მუშაობს. უნივერსიტეტის უკვე დამტკიცებული სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, პრიორიტეტული არ არის ცალკე პროფესიული განათლება, ჩვენი მიზანია ხარისხის ამაღლება ყველა მიმართულებით და რანჟირებებში პოზიციების გაუმჯობესება. თუ შენარჩუნებული იქნება მოადგილე, ეს უნდა იყოს გამოწვევების შესაბამისი მიმართულებით — ავტორიზაცია, აკრედიტაცია. დაბრკოლება გახლავთ უნივერსიტეტის ბიუჯეტი. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იყოს განყოფილების გამგეებიც მეტ-ნაკლებად ადეკვატური ხელფასით და იყოს მოადგილის შტატიც. თავდაპირველად ჩემი იდეა სამი განყოფილების შექმნა გახლდათ. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის კანცლერთან კონსულტაციების შედეგად იძულებული გავხდი ჩემს ჩანაფიქრზე უარი მეთქვა და შემოვიფარგლე მხოლოდ ორი განყოფილებით, რადგან უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად არ არის სახარბიელო“, — განაცხადა ირინე დარჩიამ.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების ახალი რედაქციის მიღება აუცილებელი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად — იგულისხმება ავტორიზაციის ახალი სტანდარტები; სასწავლო პროგრამების აკრედიტაცია; ავტორიზაციის ინტერნაციონალიზაცია; ზოგადად, თსუ-ის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება; სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. პერმანენტული გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების ძველ ვარიანტშიც იყო გაწერილი, თუმცა ეს ფუნქცია არასათანადოდ სრულდებოდა. ირინე დარჩიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, დებულების ახალი რედაქციის წარდგენისას, 7 არგუმენტი განიხილა, რამაც დოკუმენტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განაპირობა.

„დებულებაში შესული ცვლილებები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რათა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტურად იმუშაოს. სულ 7 მთავარი არგუმენტი მაქვს, თუ რატომ წარმოვადგინე დოკუმენტის ახალი რედაქცია:

1. აქამდე მოქმედი დებულება 2012 წლის 10 დეკემბერს აკადემიური საბჭოს 118-ე დადგენილებით შევიდა ძალაში, 2013 წლის 21 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს 115-ე დადგენილებით მასში ცვლილებები შევიდა, რაც თსუ-ის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც თსუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა, დარჩა შეუსაბამო ჩანაწერი, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ინიშნება არჩევნების გზით.

2. 2016 წელს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შევიდა ცვლილებები, შეიცვალა ავტორიზაციის წესი. ავტორიზაციის სამი სტანდარტის ნაცვლად ახლა 7 სტანდარტის დაკმაყოფილება გვიწევს. გასაუმჯობესებელია უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება; მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; პროგრამები; პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები; კვლევა; განვითარება; სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. 2017 წელს ავტორიზაციის დებულებაში შესულ ცვლილებებს შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში ცვლილება არ მოჰყოლია, რაც აუცილებელი გახლდათ. 2018 წელს ვალდებულები ვართ, რომ ავტორიზაცია თავიდან გავიაროთ. მომავალი წლის თებერვლის დასაწყისში თვითშეფასების ანგარიში უნდა წარვადგინოთ. შესაბამისად, წინ ძალიან დიდი სამუშაო გველოდება.

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს 238 სასწავლო პროგრამა. ყველა მათგანს სჭირდება მოდერნიზება. პროგრამებში არსებული პრობლემების ნაწილის მიზეზი ადმინისტრაციული მხარდაჭერის ნაკლებობა გახლავთ. ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა, ბუნებრივია, ცვლილებებს იწვევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებში. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კანონი და, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, სამეცნიერო პერსონალის გარდა, კურსდამთავრებულები, პროფესიული ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებიც უნდა ჩავრთოთ.

4. ავტორიზაციის პროცესი გულისხმობს ინტერნაციონალიზაციასაც. კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უცხოელია. შესაბამისად, ჩვენს სამსახურს დოკუმენტაციის წარმოება ორ — ქართულ და ინგლისურ ენაზე მოუწევს. ეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციასაც ახალი მოთხოვნების წინაშე აყენებს.

5. სტუდენტების, დამსაქმებლების, პერსონალის მასშტაბური და სისტემატური გამოკითხვები ჩვენი ვალდებულებაა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეს აქამდეც ევალებოდა, თუმცა

ირინე დარჩია

სათანადოდ ვერ ასრულებდა ამ ფუნქციას, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

6. საერთაშორისო რანჟირების სისტემებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 წლიდან აქტიურად ჩაერთო. 2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ვეღარ შეძლო ამ ფუნქციის შესრულება და თსუ-მ მოიწვია სპეციალისტი, რომელიც რანჟირებაში მონაწილეობისთვის დოკუმენტაციის მომზადებას კოორდინირებას უწევს. რანჟირება გულისხმობს ხარისხის მაჩვენებელს, შესაბამისად, ეს ჩვენი ფუნქციაა და ხარისხის მართვის სამსახურს ოფიციალურად ემატება.

7. თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა, რაც სამომავლო საქმიანობაში გასათვალისწინებელია“, — აღნიშნა ირინე დარჩიამ.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალ დებულებაში შეტანილი ცვლილებების მთავარი მიზანი თავად ხარისხის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გაზრდაა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს 2018 წელს დაგეგმილი ავტორიზაციისთვის მომზადებას და გრძელვადიან პერსპექტივაში უნივერსიტეტის განვითარების, მონიტორინგისა და ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალი დებულება 23 ოქტომბერს დაამტკიცა.

მედეა სტუდენტების თვალით

შერთხია ბეროშვილი

ქართულ-ბერძნული დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავს და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის 20 წლისთავს მიეძღვნა უნივერსიტეტში სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „მედეა მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში“. თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორის ირინე დარჩიას აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ასეთ მასშტაბურ კონფერენციაში თსუ-ის სტუდენტების აქტიურობა და თანამონაწილეობა. მათთვის სპეციალურად მუშაობდა სექციები სახელწოდებით: „მედეა სტუდენტების თვალით“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თსუ-ის პროფესორები: ირინე დარჩია, მაკა ქამუშაძე, ლონდონის ქინგს კოლეჯის დოქტორანტი ოლივერ ბოლდვინი და თსუ-ის დოქტორანტი თათია მთვარელიძე. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. კონფერენციის ერთ-ერთი თანაორგანიზატორის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნულ-რომაული

ფილოლოგიის მაგისტრანტის მარიამ კალაძის მოხსენება შეეხებოდა მედეას წარმოდგენის რამდენიმე ასპექტს ანტიკურ და თანამედროვე სამყაროში. მედეას სახე სხვადასხვა კუთხით წარმოჩინდა თსუ-ის დოქტორანტების: სალომე ბობოხიძის (მითის ახლებური გადააზრება (მადი ბერიაშვილის მედეა, როგორც მედეა), ლილი მეტრეველის (მედეას სახის რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის რომანში — მეგი ქართველი გოგონა), თამარ მეჭურჭლიშვილის (მედეა, როგორც უცხო), მაია კილაძის (სხვა მედეა — მედეას სახე XX საუკუნის ახალბერძნულ თეატრალურ ნაწარმოებებში), მარიკა ჭითანავას (საჯაია — ლიბანელი მედეა?!), გეორგია დიმოპულუს (ევრიპიდეს მედეას ეპითეტების ახალბერძნული თარგმანები) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის მარიამ ნემსაძის („რატომ კლავენ დედები შვილებს?“) ნაშრომებში.

კონფერენციის თანაორგანიზატორების: თსუ-ის ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მაგისტრანტის და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტის ეკატერინე კვირკველიას ინფორმაციით, ღონისძიების მომზადებაში, რომლის ინიციატივა თსუ-ის პროფესორ რისმაგ გორდეზიანს ეკუთვნის, პირველივე დღიდან მთელი ინსტიტუტი აქტიურად ჩაერთო. ირინე დარჩიას ხელმძღვანელობით კონფერენციას წინ უძღვოდა რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი პერიოდი, დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიება. სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველ და უხცოელ მეცნიერებთან უშუალო ურთიერთობა. „თითოეული სტუდენტისთვის ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო იყო ამ კონფერენციაში მონაწილეობა. შევეცადეთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესო ყოფილიყო — ეს ჩვენთვის ცოდნის გაღრმავებასთან ერთად კარგი გამოცდილებაც იყო“, — განაცხადა ეკატერინე კვირკველიამ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017“-ის ფარგლებში 5 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ინოვაციური კვლევების გამოფენა გამართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კვლევები: „ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში“ (გიორგი გოგსაძე, ია იაშვილი); „საქართველოს მცირე ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების საცხოვრებელი სექტორის (შინამეურნეობების) ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივი ანალიზი“ (ვალერიან მელიქიძე, გიორგი ლეკვეიშვილი); „საქართველოს საპორტო ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. განვითარების პრობლემები და პერსპექტივები: საპორტო ქალაქ ფოთის მაგალითზე“ (თამარ დოლბაია, გიორგი კვინიკაძე); „ახალი და ძველი ტიპის განაშენიანების მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა (თბილისის მაგალითზე)“ (თეონა მატარაძე, რევაზ ჯორბენაძე).

როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ განაცხადა, მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წელს ამუშავდა და ფაკულტეტისთვის მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. ყველა პროექტი, რომელიც კონკურსის შედეგად დაფინანსდა, მოიცავდა საინტერესო თემატიკას და მათში ჩართული იყო როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სამივე საფეხურის სტუდენტი. „როგორ ჩანს, სხვა ფაკულტეტებზე ეს პროექტი ასეთი ნაყოფიერი არ იყო და ამიტომ 2016 წლიდან ეს პროგრამა დაიხურა, თუმცა ჩვენ ჩვენი ფაკულტეტის ფარგლებში მოვიძიეთ თანხები და პროგრამამ მუშაობა გააგრძელა. ვიმედოვნებთ, მომავალშიც გვექნება საშუალება დავაფინანსოთ შიდა კვლევები, რადგან ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, არსებობს არაერთი საერთაშორისო გრანტი, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც სპეციფიკურ თემატიკაზე გაიცემა, ჩვენ კი აქცენტს ვაკეთებთ ქართული სინამდვილისთვის საჭირო კვლევებზე და აუცილებლად ვრთავთ მასში სტუდენტებს, რაც საშუალებას იძლევა – თეორიული ცოდნა პრაქტიკაში განამტკიცონ“, – აღნიშნა მან.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ გთავაზობთ წარმოდგენილი პროექტებიდან ორი კვლევის მიმოხილვას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲗᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲖᲔ)

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲢᲐᲠᲐᲫᲔ,
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ

მოხსენება ეფუძნებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ 2017 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ კვლევას – „ახალი და ძველი ტიპის განაშენიანების მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა (თბილისის მაგალითზე)“.

პროექტი შეიქმნა ინტერდისციპლინური დეპარტამენტის ფარგლებში და მასში ჩართული იყვნენ სრული პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე; დოქტორანტები: მარეხ დევიძე, მარინა ქევხიშვილი; მაგისტრანტები: მარიამ ცოტაძე, მირანდა მიქაძე, სოფო მეტრეველი, ბაკალავრი მედეა გიგაური.

კვლევითი პროექტის მიზანი იყო, ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისით, შეესწავლა თბილისში ახალი და ძველი განაშენიანების მობინადრეთა დამოკიდებულება საცხოვრისის, მათი ტერიტორიული იდენტობის და თემის (ამხანაგობის) განვითარების მიმართულებით. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ტრიანგულაციური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა დოკუმენტების ანალიზი, ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, რაოდენობრივი გამოკითხვა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები „ახალი“ და „ძველი“ განაშენიანების მცხოვრებთა სამეზობლო ურთიერთობებსა და სათემო სტრუქტურაში.

კვლევის შედეგად, ძველი და ახალი განაშენიანების მობინადრეთა ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოვლინდა, რომ ახალი ტიპის სამეზობლოებში მცხოვრებლები მეტად ჩაკეტილი და იზოლირებული ცხოვრების სტილით გამოირჩევიან, განსხვავებით ძველი ტიპის ბინების მცხოვრებლებისგან, სადაც ისევ შენარჩუნებულია ურთიერთობათა ფართო არეალი თავისი კეთილმეზობლური თუ კონფლიქტური ცხოვრების სტილით.

გამოიკვეთა, რომ ძველი ტიპის დასახლებებში სამეზობლო ურთიერთობები უფრო ინტენსიურია და მიახლოებულია ნათესაურ, მეგობრულ და სხვა სოციალურ ურთიერთობებთან. შესაბამისად, ძველი ტიპის მცხოვრებლებმა უფრო მეტი იციან ერთმანეთის ოჯახების შესახებ, სადაც, სოციალური ურთიერთობების ინტენსივობის მაღალი ხარისხის გამო, პიროვნული ურთიერთობებით გამოწვეული კონფლიქტების სიხშირეც მაღალია. ახალი ტიპის დასახლებებში ოჯახები მჭიდრო სამეზობლო ურთიერთობების მიმართ ნაკლებ ინტერესს ავლენენ. ამ ტიპის დასახლებებში ნაკლებია პიროვნული ურთიერთობების გამო გამოწვეული კონფლიქტები, თუმცა, გაუცხოებული სამეზობლო ურთიერთობების პირობებში, მცხოვრებლები უფრო მარტივად ავლენენ მეზობლების მიმართ უკმაყოფილებას, როდესაც ამ უკანასკნელთაგან ურბანული სივრცის არაკეთილსინდისიერად გამოყენება ხდება.

ის ფაქტი, რომ არც ახალი და არც ძველი ტიპის სამეზობლოებში კონფლიქტების მოგვარებისას არ ხდება კომპრომისის ან თანამშრომლობის სტრატეგიის გამოყენება, მიუთითებს იმაზე, რომ, საერთო სამეზობლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, შეთანხმება არ მიიღწევა. ეს ასევე უკავშირდება სამეზობლოების მართვის გაუმართავ სქემას ახალი და ძველი ტიპის დასახლებებში მცხოვრებთა უმრავლესობა თავს არიდებს სამეზობლო გარემოს მართვის პროცესში ჩართვას ახალ დასახლებებში უფლებების ფორმალური სტრუქტურების დელეგირების, ხოლო ძველ დასახლებებში მხოლოდ თავის არიდების გზით.

დასავლურ ლიტერატურაში სამეზობლო ურთიერთობები აღიარებულია, როგორც სოციალური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც ერთობის შექმნის საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ სამეზობლო ურთიერთობები პიროვნულ დონეზე საქართველოში, დასავლეთთან შედარებით, ინტენსიურია, თბილისში სამეზობლო თემი სუსტია და, სამეზობლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ვერ ემსახურება ერთიანი, ყველასთვის სასიკეთო შეთანხმებების მიღწევას. ეს ასევე უკავშირდება, ზოგადად, ქართული საზოგადოების, როგორც სამოქალაქო საზოგადოების, სისუსტეს, რომელშიც ინტერესთა ჯგუფები, ამ შემთხვევაში კი სამეზობლო თემი, სუსტია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ (ᲨᲘᲜᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ) ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ,
�გᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კვლევის შესავალ ნაწილში გაანალიზებულია ენერგეტიკული სექტორის განვითარების აუცილებლობა. მასში ნათქვამია, რომ საქართველო სუსტი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის შემოსავლები საკმაოდ დაბალია და სოფლად ხშირად ნატურალურ მეურნეობაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში, ქვეყნის მასშტაბით, ასობით პროექტი ხორციელდება, არც ერთ მათგანს არ შეუძლია რადიკალურად შეცვალოს არსებული სიტუაცია უკეთესობისკენ. იმ პრობლემათა შორის, რომლის წინაშეც მუნიციპალური ხელისუფლება დგას, ერთ-ერთი წამყვანია ენერგეტიკული სექტორის განვითარება.

საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნია საკუთარი საწვავი წიაღისეული რესურსები – ის დამოკიდებულია იმპორტირებულ ბუნებრივ და თხევად საწვავზე. მოსახლეობისთვის ენერგიის შეძენა ხშირად პრობლემას წარმოადგენს, რაც იწვევს ენერგოსიღარიბეს. ეს უკანასკნელი კი ზრდის რეალურ სიღარიბეს, რის გამოც მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

შესაბამისად, მოსახლეობა ორიენტირებულია ადგილობრივი განახლებადი რესურსების (ძირითადად შეშა) გამოყენებაზე, რაც ქმნის რეალურ ეკოლოგიურ პრობლემებს (გაუტყეურება). ამასთან, ენერგია გამოიყენება ძალიან არაეფექტურად და დანაკარგები მაღალია ყველა სექტორში.

კვლევის მიზანი იყო შინამეურნეობების ენერგომოხმარების შედარებითი ანალიზი ეფექტურობის თვალსაზრისით საქართველოს წყალშემკრებ აუზებში.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

— ენერგიის მოხმარების სტრუქტურას მცირე დასახლებებში განსაზღვრავს გათბობა;

— შინამეურნეობების აბსოლუტური უმეტესობა თბება შეშით, შესაბამისად ენერგოდანახარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სწორედ ამ უკანასკნელზე. ხშირ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ოჯახისთვის ხელმისაწვდომია ბუნებრივი აირი, გასათბობად მაინც შეშა გამოიყენება;

— რაც უფრო ღარიბია ოჯახი, პროპორციულად მით უფრო მეტი უჯდება ენერგიით უზრუნველყოფა და მინიმალური კომფორტული პირობების შექმნა;

— ტრადიციული შეშის ღუმელით გათბობა ძალიან არაეფექტურია. თბება მხოლოდ საცხოვრებელი სახლის შეზღუდული ნაწილი (1-2 ოთახი) რამდენიმე საათის განმავლობაში;

— ფაქტობრივად, ყველა საცხოვრებელი სახლი ცუდად არის იზოლირებული და გათბობაზე მიმართული ენერგიის დიდი ნაწილი უქმედ იკარგება;

— ენერგომოხმარების სტრუქტურა ნაკლებად იცვლება კლიმატური ფაქტორების (გათბობის სეზონის ხანგრძლივობა) ზეგავლენით, თუმცა გარკვეულწილად აისახება მოხმარებული ენერგიის მოცულობაზე;

— გეოგრაფიული მდებარეობა, გარკვეულ შემთხვევებში, გავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე შეშის ფასზე. ეს ფაქტორი საგრძნობლად ზრდის შეშაზე გაწეულ დანახარჯებს, თუმცა ენერგომოხმარების სტრუქტურაზე გავლენას ვერ ახდენს;

— შინამეურნეობის შემოსავლები და წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს მოხმარებული ენერგიის მთლიან რაოდენობას, თუმცა საერთო სტრუქტურაში წილობრივი შემადგენლობა ენერგოწყაროებისა იგივე რჩება;

— ცალკეულ ეთნიკური ერთობების შინამეურნეობების ენერგიის მოხმარების სტრუქტურაში გარკვეული განსხვავებები შეიმჩნევა, მაგრამ შეშის მასობრივ მოხმარებაზე ვერც ეს ფაქტორი ახდენს გავლენას;

— შენობების ცუდი თბური მახასიათებლები და გათბობის დანადგარების არაეფექტურობა ჩრდილავს სხვა ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმედებას;

— შეშის ზედმეტი გამოყენება და მასობრივი ტყის გაკაფვა იწვევს გაუტყეურებას და მის თანმდევ პრობლემებს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ შემდეგ ნომერში კიდევ ორი უაღრესად საინტერესო კვლევითი პროექტის („ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში“ (გიორგი გოგსაძე, ია იაშვილი) და „საქართველოს საპორტო ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. განვითარების პრობლემები და პერსპექტივები: საპორტო ქალაქ ფოთის მაგალითზე“ (თამარ დოლბაია, გიორგი კვინიკაძე) ავტორებთან ინტერვიუებს შემოგთავაზებთ.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔᲛ**

იდეოლოგიის გავლენა ენათმეცნიერებაზე

თამარ დადიანი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ 6-9 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ გიორგი ახვლედიანის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლები აშშ-დან, ნიდერლანდებიდან, შვეიცარიიდან, ნორვეგიიდან, შვედეთიდან, რუსეთიდან, იტალიიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან და ტაივანიდან.

კონფერენციაზე პლენარული სხდომის გარდა მუშაობდა 6 სესია, რომელთაგან თითოეული აერთიანებდა მოხსენებებს შემდეგ თემებზე: ტრადიციები და იდეოლოგია; იდეოლოგიური/კულტურული ომები და ენათმეცნიერება; ენათმეცნიერება პოლიტიკურ კონტექსტში და მის გარეშე; იდეოლოგია, როგორც ენათმეცნიერების ასპექტი და მისი ფაქტორი; პოეტები, ენათმეცნიერები და იდეოლოგია; ენის ევოლუცია და იდეოლოგია; იდენტობის ფორმირება და ლინგვისტური იდეოლოგია.

საერთაშორისო კონფერენციის იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა, პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილე ქართველ და უცხოელ კოლეგებს და აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენცია წელს უკვე მეორედ იმართება. „პირველმა კონფერენციამ დაგვანახა, რომ ამ თემის მიმართ დიდი ინტერესი აქვთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ენათმეცნიერებს, რადგან იდეოლოგია ყოველთვის ახდენდა გარკვეულ გავლენას ლინგვისტურ იდეებზე. მით უმეტეს, როცა ეს ეხება საბჭოთა ენათმეცნიერებას, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზებული იყო“.

საერთაშორისო კონფერენცია იმითაც იყო გამორჩეული, რომ წელს, ქართველ მომხსენებლებს რიცხოვნობით ძალიან სჭარბობდნენ უცხოელი მეცნიერები, რაც თემისადმი უცხოელი მკვლევრების დიდი დაინტერესებით, ასევე ქართველ კოლეგებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის და საინტერესო დისკუსიის მოლოდინით უნდა აიხსნას. რადგანაც საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორია წინ იყო წამოწეული, ამიტომ კონფერენციის პირველი ორი დღის მოხსენებების დიდი ნაწილი სწორედ საბჭოთა ენათმეცნიერებას ეხებოდა, განსაკუთრებით კი, როგორც თინათინ ბოლქვაძე უწოდებს, საბჭოთა ენათმეცნიერების „ქართულ სამკუთხედს“, რომელსაც ნიკო მარი, საბჭოთა ხალხების ბელადი იოსებ სტალინი და არნოლდ ჩიქობავა ქმნიდნენ.

კონფერენციის მონაწილეთა და მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია იმ მოხსენებებმა, რომლებიც შეეხებოდა ნიკო მარის „იაფეტური თეორიის“ დაისს საბჭოთა ენათმეცნიერებაში და ენობრივ დისკუსიას, რომელიც გაიმართა ენის ოთხელემენტოვანი ანალიზისა და ენათა სტადიური კლასიფიკაციის საწინააღმდეგოდ საბჭოთა პრესაში.

საბჭოთა რეჟიმისთვის მეცნიერების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მეცნიერების დამოუკიდებლად განვითარება საშიშროებას წარმოადგენდა იმ იდეოლოგიისათვის, რომელიც მოსახლეობაში კომუნისტური პარტიის გასაძლიერებლად მუშაობდა. მეცნიერებაზე კონტროლით, მხოლოდ რეჟიმისთვის მისაღები სამეცნიერო დარგები და იდეები უნდა განვითარებულიყო, თავისუფალი და მრავალფეროვანი სამეცნიერო აზროვნება და კვლევები კი შეზღუდულიყო.

კონტროლის გასაადვილებლად, საბჭოთა იდეოლოგია, პოლიტიკის კვალდაკვალ, ქმნიდა მეცნიერების განვითარების ისეთ ხაზს, რომელიც თავისუფალ მეცნიერულ აზროვნებას გასაქანს არ აძლევდა. ამაში მას ეხმარებოდა მეცნიერი ან მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ქმნიდა სამეცნიერო მიმართულებებს და ამ გზიდან გადახვევა ან განსხვავებული აზრის გამოთქმა დაუშვებელი იყო. საბჭოთა მეცნიერება იცნობს ასეთ მოღვაწეებს: ბიოლოგიაში — ი. მიჩურინს, ფიზიოლოგიაში — ი. პავლოვს, ენათმეცნიერებაში — ნიკო მარს.

ტოტალიტარული რეჟიმის დროს ენათმეცნიერება ვითარდებოდა იზოლირებულად, უცხოელ კოლეგებთან მინიმალური ურთიერთობის პირობებში. იდეოლოგიური წნეხის გამო საბჭოთა ენათმეცნიერები დაგვიანებით, ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ თავიანთი თანამედროვე ევროპელი ენათმეცნიერების ნაშრომებს, რაც განაპირობებდა მთლიანად დარგის ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას. 20-იანი წლების მიწურულს სტალინი ახდენს ძალაუფლების სრულ კონსოლიდაციას, იწყებს მეცნიერებაზე გალაშქრებას და ცდომილებების ძებნას სხვადასხვა დისციპლინებში. სტალინი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაემტკიცებინა, რომ ნებისმიერი სამეცნიერო დარგი სრულ ჰარმონიაში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასთან.

რადგან საბჭოეთი არ იყო დემოკრატიული ქვეყანა, ეს არადემოკრატიულობა ჩანდა მეცნიერების ყველა დარგში და, მათ შორის, ენათმეცნიერებაში, რადგან ენათმეცნიერება გააზრებული იყო იდეოლოგიის განუყოფელ ნაწილად. ამიტომ ენათმეცნიერებს ლინგვისტური საკითხების პოლიტიკისა და იდეოლოგიისაგან დამოუკიდებლად, მშვიდ ვითარებაში განხილვის საშუალება არ ეძლეოდათ. მათ პროფესიულ საქმიანობაში ერეოდნენ კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის მდივნები და ასეთ ვითარებაში ენათმეცნიერთა სიცოცხლესაც კი საფრთხე ემუქრებოდა.

სამეცნიერო დისკუსიების დაწყება გახდა, ასე ვთქვათ, მეცნიერების „შემოწმების“ მეთოდი ცალკეულ დარგებში გაბატონებული სამეცნიერო იდეების წინააღმდეგ. ამ იდეოლოგიის ერთადერთი ინტერპრეტატორი გახლდათ სტალინი. მისი დასკვნითი სტატიის ან საჯარო გამოსვლის შემდეგ დისკუსია იხურებოდა. ამგვარი ჩარევის თვალსაჩინო მაგალითია 1950 წელს გამართული ენობრივი დისკუსიაც.

თსუ-ის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დიდი მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ: „ტერმინი — „იდეოლოგია“ — ლინგვისტიკასთან მიმართებით გამოიყენებოდა მხოლოდ საბჭოთა ლინგვისტიკაში. ის განსხვავდებოდა დასავლეთის ლინგვისტური თეორიებისგან, როგორიცაა შედარებით-ისტორიული, ტოპოლოგიური, სტრუქტურული, გენერაციული, რომლებსაც არასოდეს შეხვედრიათ იდეოლოგიური დაბრკოლებები“.

კონფერენციაზე სპეციალურ მომხსენებლად მოწვეული იყო საქართველოს ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბატონი გელა ჩარკვიანი, რადგან იგი გახლავთ ვაჟი კანდიდ ჩარკვიანისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა 1950 წლის ცნობილი ლინგვისტური, ენობრივი დისკუსიის დაწყებასა და ორგანიზებაში. მან წაიკითხა მოხსენება „სტალინი და კანდიდ ჩარკვიანი: დიალოგი საბჭოთა ენათმეცნიერებაზე (1949-1950)“ და პირველხარისხოვან საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით უაბმო საზოგადოებას, თუ რა მიზეზების გამო არ ეთანხმებოდა კანდიდ ჩარკვიანი ნიკო მარის მოსაზრებას და რატომ მისწერა წერილი იოსებ სტალინს ამ საკითხზე. მსმენელთა დიდი ყურადღება დაიმსახურა კანდიდ ჩარკვიანის 1949 წლის დეკემბერში სტალინისათვის გაგზავნილმა წერილმა, რომელზეც სტალინს კომენტარები აქვს გაკეთებული. სწორედ კანდიდ ჩარკვიანმა შეახვედრა ერთმანეთს არნოლდ ჩიქობავა და იოსებ სტალინი. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კვლავ გამოღვიძება დაიწყო ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ, რომელიც ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებად მიიჩნეოდა.

არნოლდ ჩიქობავას წერილებზე სტალინის მიერ გაკეთებული კომენტარები იყო კონფერენციის ორგანიზატორის, პროფესორ თინათინ ბოლქვაძის მოხსენების თემაც. „1949-1950 წლებში სტალინის ინტერესი ძლიერდება ნიკო მარის „იაფეტური თეორიის“ კრიტიკის მიმართ. როგორც საარქივო მასალები აჩვენებს, სტალინმა, სულ მცირე, ორჯერ მაინც წაიკითხა არნოლდ ჩიქობავას სტატია, სანამ იგი გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდებოდა 1950 წლის 9 მაისს. ამას აჩვენებს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები, რომელთა მოპოვებაში დამეხმარა ამერიკელი მეცნიერი ეთან პოლოკი, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ვაჟა შენგელიას, რომელმაც გადმომცა არნოლდ ჩიქობავას სტატიის იმ ცალის ასლი, რომელზეც სტალინს კომენტარები აქვს დართული. სწორედ ამ წერილის „გაუმჯობესებული“ ვერსია დაიბეჭდა „პრავდაში“. ცნობილ ენობრივ დისკუსაიში მონაწილეობდნენ ქართველი ენთმეცნიერები: გიორგი ახვლედიანი და გიორგი წერეთელი“, — განაცხადა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ.

საერთაშორისო კონფერენცია „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“ არ ეხებოდა მარტო საბჭოთა მეცნიერებას, რადგან იდეოლოგის ენათმეცნიერებაზე გავლენა მხოლოდ საბჭოთა მოვლენა არ არის. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ცნობილი ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის ჰანს ფოგტის ვაჟმა, იურისტმა პიტერ ფოგტმა, რომელმაც წარმოადგინა მამის საარქივო მასალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჰანს ფოგტის გადაღებული დოკუმენტური კინოკადრები, რომლებიც ხევსურთა ეთნოგრაფიულ ყოფას ასახავს. პიტერ ფოგტის თანაავტორები იყვნენ ცნობილი შვედი კავკასიოლოგი, მალმოს უნივერსიტეტის პროფესორი კარინა ვამლინგი და ახალგაზრდა ქართველი დოქტორანტი მაკა თეთრაძე. მათ წარმოადგინეს ჰანს ფოგტის, სტანისა და სომერფელტის საარქივო მასალები, რომლებიც აჩვენებენ — როდის და რა მიზეზების გამო მოხვდა კავკასიოლოგია ნორვეგიელი ენათმეცნიერების ინტერესთა სფეროში.

კონფერენციის მონაწილეებმა ასევე წარმოადგინეს მოხსენებები, რომელიც ეხებოდა ცივი ომის პერიოდში ლინგვისტური იდეების გაცვლას ევროპის, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ენათმეცნიერების პრობლემატიკაზე ყოველთვის ახდენდა გავლენას ახალი გეოგრაფიული აღმოჩენები და რელიგიების გავრცელება. ენათმეცნიერის კამილ ჰამანსის მოხსენება „აფრიკაანსის ისტორია — როგორც ლინგვისტურ ხედვაზე იდეოლოგიის გავლენის მაგალითი“ შეეხებოდა აფრიკაში აფრიკაანსის მდგომარეობას. ეს არის ენა, რომელიც შეიქმნა ნიდერლანდური ენის საფუძველზე მას შემდეგ, რაც ნიდერლანდურზე მოლაპარაკეებმა აფრიკის ერთი ნაწილი დაიპყრეს. კოლონიზაციამ და მისიონერულმა მოღვაწეობამ ამ ენაზე გავლენა იქონია და ავტორმა გვიჩვენა, თუ როგორ წარმოიშვა ახალი ენა დაპყრობითი ომების შედეგად. კამილ ჰამანსმა აქვე განაცხადა, რომ აფრიკელმა ხალხმა ამ ენას ძეგლი დაუდგა.

მნიშვნელოვანი იყო ქართველი ენათმეცნიერების მარინა ბერიძისა და ლია ბაკურაძის ნაშრომი — „ეთნიკური მობილიზაციის ზოგი ისტორიული ასპექტი დიალექტიკურ კუნძულში (ფერეიდნულ-ქართული ენობრივი კუნძული ირანში)“, რომელიც ეხებოდა ფერეიდნული დიალექტის საკითხებს. მოხსენებაში განიხილებოდა ახლად გამოქვეყნებული საარქივო მასალები, რომლებიც აშკარას ხდის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ითვალისწინებდა ირანში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში ეთნიკური მობილიზაციის ხელშეწყობას და საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის მათ გამოყენებას. „ბოლო წლებში აღმოჩენილი რამდენიმე საბჭოთა ფუნქციონერის კრემლთან მიმოწერის მასალების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეთნიკური მობილიზაცია, რომელმაც გამოიწვია ეროვნული იდენტობის წრთობის ახალი ტალღა ფერეიდანის ქართულ მოსახლეობაში, იყო რეგიონში საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური აქტივობის ირიბი, მაგრამ ძალიან ეფექტური შედეგი“, — აცხადებენ მოხსენების ავტორები: მარინა ბერიძე და ლია ბაკურაძე. ცალკე უნდა აღინიშნოს გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეების მოხსენება — „ტოპონიმიკური ომის ძირითადი ასპექტები საბჭოთა პერიოდის საქართველოში“. მათი მოხსენება ეხებოდა იდეოლოგიის გავლენას ქართულ ტოპონიმიკაზე, რომელიც შეიქმნა აფხაზეთში, საბჭოთა პერიოდში, თუ რა მიზეზებით იშლება აფხაზეთში ქართული ტოპონიმიკის კვალი და რა ვითარება გვაქვს დღეს.

კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იდეოლოგიის გავლენა ენათმეცნიერებაზე და ამის შედეგად წარმოქმნილი ლინგვისტური იდეების კვლევის მნიშვნელობა. გადაწყდა, რომ მე-3 კონფერენცია ამ თემაზე ორი წლის შემდეგ კვლავ გაიმართება.

ქირურგიის ახალი ჰორიზონტები

თამარ დადიანი

საქართველოს ქირურგთა საერთაშორისო კლინიკური კონგრესი „ქირურგიის ახალი ჰორიზონტები“ გაიხსნა 5-7 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე, ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე, საქართველოს წამყვანი ქირურგები, საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულეები, უცხოელი კოლეგები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

კონგრესი გახსნა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა კონგრესის პრეზიდენტი, საქართველოს გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, თსუ-ის პროფესორი მერაბ კილაძე.

„ასეთი მასშტაბური, სოლიდური და ავტორიტეტული კონგრესის ჩატარება გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების იდეა იყო. კონგრესში მონაწილეობენ არა მარტო ქართველი კოლეგები და წამყვანი თანამემამულე ქირურგები საზღვარგარეთის პრესტიჟული კლინიკებიდან, არამედ გამოჩენილი უცხოელი ქირურგები მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს 250 დელეგატი.

კონგრესზე წარმოდგენილია მედიცინის 7 ძირითადი დარგი და მიმართულება. ეს არის: ზოგადი ქირურგია, ლაპარასკოპიული, ენდოსკოპიური ქირურგიული ონკოლოგია, ინტერვენციული რადიოლოგია, ტრანსპლანტაცია, სისხლძარღვთა ქირურგია, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია.

ქართველი და უცხოელი კოლეგები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, მოხდება ახალი პროექტების, ახალი კვლევების დაგეგმვა. ეს ურთიერთობა ორივე მხარეს გაგვამდიდრებს და გაგვაძლიერებს“, — განაცხადა კონგრესის პრეზიდენტმა მერაბ კილაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქართველ და უცხოელ კოლეგებს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ წარმატება უსურვა კონგრესის მონაწილეებს და განაცხადა, რომ ქირურგთა საერთაშორისო კონგრესი არის კიდევ ერთი შესანიშნავი საშუალება ქირურგებისთვის, რეზიდენტებისთვის და სტუდენტებისთვის ახალი ინოვაციების გაზიარებისთვის, საკუთარი ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. თსუ-ის რექტორმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს, თსუ-ის იულიხის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო სტანდარტების კიდევ ერთი კვლევითი ლაბორატორია შეემატება მედიცინის მიმართულებას. მისი თქმით, 2018 წელს თსუ-ში გაიხსნება ლაბორატორია, რომელიც ღეროვანი უჯრედების კვლევაზე იმუშავებს: „ეს არის ყველაზე მაღალი დონის კვლევები, რომელიც ტარდება ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტში და რომელიც იქნება კოლაბორაციაში ჩვენს სამედიცინო მიმართულებასთან. ახალგაზრდა სპეციალისტებს საშუალება ექნებათ ამ კვლევებში მიიღონ მონაწილეობა. აი, ასეთი ხედვა აქვს უნივერსიტეტს სამედიცინო მიმართულებით. გვინდა ჩვენი ურთიერთობა სამედიცინო სამყაროსთან იყოს მრავალმხრივი, ინტენსიური და ორიენტირებული ურთიერთდახმარებაზე, ერთობლივ ნებაზე და ერთობლივ მუშაობაზე“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

კონგრესზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოში ისრაელის ელჩი შაბთაი ცური, რომელმაც ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობის, ურთიერთთანამშრომლობის ისტორიასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ბევრი ქართველი მედიკოსი არის დღეს ისრაელის წამყვანი კლინიკის ხელმძღვანელი. როგორც მოგეხსენებათ, სამედიცინო ტექნოლოგიების სფეროში ისრაელი წამყვანი ქვეყანაა, აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც, სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი ისრაელის სამედიცინო ტექნოლოგიები.

დღევანდელი კონგრესი მოწმობს, რომ ქართულ მხარესთან წარმატებული და ნაყოფიერი თანამშრომლობა არა თუ გაგრძელდება, არამედ უფრო მეტ დატვირთვას და მნიშვნელობას შეიძენს“, — განაცხადა საქართველოში ისრაელის ელჩმა შაბთაი ცურიმ.

„ჯანდაცვაში ფინანსური დაცულობის და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საკმარისი არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექიმთა კვალიფიკაციას ენიჭება, მათ შორის, მომავალი ექიმების, სტუდენტების კვალიფიკაციას. უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ასეთი ტიპის კონგრესები. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად დიდია ინტერესი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, კოლეგების მხრიდან საქართველოში მედიცინის განვითარებისთვის“, — განაცხადა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ.

კონგრესის მონაწილის, დიდი ბრიტანეთის იმპერიალ კოლეჯის მთავარი ქირურგის ნადეი ჰაკიმის თქმით, კონგრესში ამ დარგის ბევრი ცნობილი და გამოჩენილი სპეციალისტი მონაწილეობს უცხოეთის ქვეყნებიდან, კერძოდ, საქართველოდან. „ჩვენ შევძლებთ უკეთ დავინახოთ, თუ რა პროგრესი განიცადა საქართველომ ამ დარგში და ასევე, მოხდება ევროპული გამოცდილების გაზიარებაც“, — აღნიშნა ნადეი ჰაკიმმა. მისივე თქმით, დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობა ქართულ მხარესთან საკმაოდ წარმატებულია და ამ თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელი გახდება სტუდენტების მონაწილეობა ერთობლივ გაცვლით პროექტებში.

კონგრესის ორგანიზატორი იყო საქართველოს გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება და საქართველოს ექიმთა ასოციაცია. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, თსუ-ის პროფესორი გია ლობჟანიძე. საქართველოს ქირურგთა საერთაშორისო კლინიკურ კონგრესზე, რომელშიც ქართველ ქირურგებთან ერთად მონაწილეობდა 12 ქვეყნის წამყვანი უცხოელი სპეციალისტი, 3 დღის განმავლობაში განიხილებოდა საკითხები ზოგად ქირურგიაში, სისხლძარღვთა ქირურგიაში, პლასტიკურ და რეკონსტრუქციულ ქირურგიაში, თავისა და კისრის ქირურგიაში, ქირურგიულ ონკოლოგიაში, ტრანსპლანტაციასა და ინტერვენციულ რადიოლოგიაში.

კონგრესის მუშაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყანა სრულუფლებიანი, თავისუფალი წევრია იმ წარმატებული სამედიცინო საზოგადოებისა, რომელიც მკურნალობის ინოვაციურ მეთოდებს ნერგავს მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში.

კონგრესის მსვლელობისას თსუ-ის ბიბლიოთეკაში გამოიფინა მედიცინის ფაკულტეტის დამფუძნებლებისა და ფაკულტეტის ისტორიის ამსახველი ფოტოები, ახალი გამოცემები და ის უნიკალური წიგნები, რომელიც საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა სამედიცინო განათლებას უნივერსიტეტში.

საერთაშორისო კონგრესი ონკოლოგიურ უროლოგიაში და მკურნალობის უახლესი მეთოდები

ნატო ობოლაძე

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში თსუ-ში საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი „შარდ-სასქესო სისტემის კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები“ გაიმართა. კონგრესზე საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანმა ექიმებმა, მეცნიერებმა (აშშ, ბელგია, გერმანია, ჰოლანდია, თურქეთი, ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი) შარდ-სასქესო სისტემის კიბოს მკურნალობის გამოცდილება და სიახლეები გაუზიარეს ერთმანეთს. პირველად ამერკავკასიაში, კონგრესის ფარგლებში, მოხდა ულტრათანამედროვე, რობოტული ქირურგიული ტექნოლოგიების ტრანსატლანტიკური დემონსტრირება. აშშ-ის ფლორიდას შტატიდან ქირურგმა ვიპულ პატელმა განახორციელა ცოცხალი ქირურგიისა და ლექციის ტრანსლაცია. კონგრესის მონაწილეებმა შარდ-სასქესო სისტემის კიბოს მკურნალობის უახლესი მეთოდით მკურნალობა — რობოტასისტირებული რადიკალური პროსტატექტომია პირდაპირი ჩართვის რეჟიმში იხილეს.

რობოტული ქირურგია შარდ-სასქესო სისტემის მკურნალობის უახლესი მეთოდია. საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესში მონაწილე სპეციალისტების განცხადებით, საქართველოში ამ მეთოდის დანერგვაზე საუბარი ნაადრევია, რადგან საკმაოდ ძვირადღირებულია.

„დღეს ძნელია რამეს თქმა საქართველოში რობოტული ქირურგიის განვითარების შესახებ. ეს საკმაოდ ძვირადღირებულია და შეთანხმებული უნდა იყოს კლინიკებთან, პაციენტებთან... რობოტული ქირურგიის განვითარება დროის ფაქტორზეა დამოკიდებული“, — აღნიშნა ევროპის უროლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ჰედრიკ ვან პოპელმა.

„შარდ-სასქესო კიბოს მკურნალობის ყველა მეთოდი, რაც კონგრესზე განვიხილეთ, გარდა რობოტული ქირურგიისა, საქართველოს ფარგლებშიც კეთდება. რობოტული ქირურგია ძვირადღირებული ტექნოლოგიაა და საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში ამის დაფინანსება რთული იქნება. ვფიქრობ, კერძო სადაზღვევო კომპანიებიც უარყოფითად შეხვდებიან ამ ფაქტს. ხშირად ბრახი თერაპიასაც არ აფინანსებენ, რადგან ამბულატორიული ოპერაციის კალათაში გააერთიანეს. ამბულატორიული ოპერაცია ნიშნავს, რომ ოპერაციის შემდეგ პაციენტი ადგა და წავიდა. ბრახი თერაპიის შემდეგ კი პაციენტი 2 დღის განმავლობაში სტაციონარში რჩება. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რობოტულ ქირურგიას არავინ დააფინანსებს. ვფიქრობ, რომ ამ კონგრესის მთავარი მიღწევა მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებაა, რაც სამედიცინო პრაქტიკას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს“, — განაცხადა უროლოგმა, პროფესორმა გიორგი ბოჭორიშვილმა.

საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესში „შარდ-სასქესო სისტემის კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები“ 200-ზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენილი გახლდათ 25-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება. მოეწყო უახლესი ენდოსკოპიური და სხვადასხვა ულტრაბგერითი აპარატების გამოფენაც. კონგრესის პროგრამა ითვალისწინებდა პრაქტიკულ ნაწილსაც, მოწვეული ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით შედგა ექიმთა კონსილიუმი, რომლებმაც „ემ-ემ-ტე“ ჰოსპიტლის უროლოგიურ დეპარტამენტში პაციენტები მიიღეს. მომსახურება უფასოდ განხორციელდა, აღნიშნული აქციის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას წინასწარ, მედიის საშუალებით მიაწოდეს.

ონკოლოგიური უროლოგიის საერთაშორისო კონგრესი 4 ოქტომბერს გაიხსნა, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციასთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც გახლდათ.

სტუდ-ეტიკეტი

№21

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

რა უჯდებათ რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს თბილისში ცხოვრება?

დედაქალაქში რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების ცხოვრება საკმაოდ რთული და პრობლემებით სავსეა. უამრავი სტუდენტი ამბობს, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა ხშირად საშუალებას არ აძლევთ, ფეხი აუწყონ ახალი ცხოვრების ტემპს და სრულფასოვნად ინტეგრირდნენ მათთვის ახალ საზოგადოებასთან. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მათ აწუხებთ, მათი ფინანსური მდგომარეობაა.

ამ სტატიის დაწერამდე ჩვენ გამოვიკითხეთ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული რეგიონიდან ჩამოსული 200 სტუდენტი, რათა გაგვეგო, რა ხარჯებთან არის დაკავშირებული მათი ცხოვრება დედაქალაქში.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხვაში მონაწილე თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდების 50% 17-19 წლის თინეიჯერია, ხოლო 37,4 % 20-22 წლის ახალგაზრდა. ჯამში გამოკითხულთა 87,4 % 17-22 წლის ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნის. 23-27 წლის სტუდენტების რაოდენობამ 11,5 %-ს მიაღწია. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში სტუდენტების ყველაზე მოცულობითი ასაკობრივი ჯგუფი 17-22 წლის ახალგაზრდები არიან, რომლებსაც, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ სტაბილური სამსახური და, შესაბამისად, მათი შემოსავალიც არასტაბილურია (გამოკითხვას, ცხადია, რეპრეზენტატულობის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ მყარი სურათია ერთი ჟურნალისტური მასალის მოსამზადებლად).

სტუდენტები რეგიონებიდან

ჩვენთვის საინტერესო იყო იმის გარკვევაც, თუ საქართველოს რომელი რეგიონიდან ჩამოდის თბილისში ყველაზე მეტი სტუდენტი სასწავლებლად. შედეგებმა აჩვენა, რომ დედაქალაქში ყველაზე მეტი სტუდენტი, ანუ გამოკითხულთა 22,1%, სამეგრელოდან ჩამოდის. სხვა რეგიონებიდან ჩამოსულთა პროცენტული მაჩვენებელი კი ასეთია — 18,3% იმერეთიდან; 17,6 % კახეთიდან; 16,8% აჭარიდან; 6,9% ქვემო ქართლიდან, 5,3% შიდა ქართლიდან; გურიიდან ჩამოსულთა პროცენტული მაჩვენებელიც 5,3%-ია; სამცხე-ჯავახეთიდან 3,8%-ია ჩამოსული, ხოლო რაჭა-ლეჩხუმიდან და მცხეთა-მთიანეთიდან 1,5-1,5%.

ჩვენთვის საინტერესო იყო იმის გარკვევაც, აირჩევდნენ თუ არა რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები თბილისში სწავლას, იგივე ხარისხის განათლება თავიანთ ქალაქებშიც რომ ხელმისაწვდომი იყოს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სტუდენტებს ძალიან გაუჭირდათ. მათი დიდი ნაწილი ამბობს, რომ ფინანსური თვალსაზრისით საკუთარ ქალაქში დარჩენას ამჯობინებდნენ, თუმცა სამსახურის შოვნა და კარიერის დაგეგმვა დედაქალაქში უფრო მარტივია.

ბინის ხარჯები

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების მთავარ პრობლემას საკუთარი თავის საცხოვრებლით უზრუნველყოფა წარმოადგენს. გამოკითხულთა უმეტესობა, ანუ 42% ამბობს, რომ ისინი იძულებულები არიან — ბინა იქირაონ; 25,2 % ამბობს, რომ მათ ბინის ქირაობა არ უწევთ, რადგან თბილისში მცხოვრები ნათესავები მათთან ცხოვრებას სთავაზობენ, ხოლო 32,8 %-მა განაცხადა, რომ მათ აქვთ თბილისში მუდმივი ან ხანგრძლივი საცხოვრებელი (იგულისხმება გირაოც).

იმ ადამიანების 45,8%, რომელიც ბინას ქირაობს თბილისში, ამბობს, რომ ბინის ქირა ყოველთვიურად 300-600 ლარის ფარგლებში უჯდებათ. 40,7% ამბობს, რომ მათი ბინა თვეში 150-300 ლარი ჯდება, ხოლო 11,9%-ის თქმით, ყოველთვიური ქირის საფასური 900 ლარსაც აღწევს. ამ ყველაფერს ემატება კომუნალურებისა და ინტერნეტის ხარჯები, რაშიც გამოკითხულთა 52,4% 100 ლარამდე ხარჯავს, 22,2% 50 ლარზე ნაკლებს, 19% — 100-დან 150 ლარამდე, ხოლო 6,3% — 150 ლარზე მეტს.

სტუდენტები ბინის ქირაობის ეტაპებზეც საუბრობენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ ბინის გამქირავებლებთან მოლაპარაკება ძალიან რთული პროცედურაა, რადგან ხშირად გამქირავებლები კლიენტებად ისეთ სტუდენტებს ეძებენ, რომლებიც სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევიან. სტუდენტი ალეკო ხოშტარია ჩვენთან საუბარში იხსენებს, რომ მას ბინის ქირაობაში დედამისი დაეხმარა, რომელიც ე.წ. „ხაზეიკას“ პირადად ესაუბრა.

„ბინის ძებნის პროცესში გამქირავებლებს დედაჩემი ელაპარაკებოდა ხოლმე. თითქმის ყველა ასე აკეთებს, რადგან უფრო მეტ ნდობას იწვევს. ბიჭმა რომ დარეკოს და უთხრას — ბინის ქირაობა მინდაო, ეგრევე უარს ეუბნებიან. ძირითადად გოგოებს ეძებენ. მათთან კომუნიკაცია საკმაოდ რთულია,“ — ამბობს ალეკო.

„ჩემს შემთხვევაში, დედაჩემმა გამქირავებელს უთხრა, ორთვიანი ვადა მიეცი და დაიკვირდი, თუ არ მოგეწონება, გაუშვიო. უკვე წელიწადნახევარია ამ ბინაში ვარ და პრობლემა არ შემქმნია გამქირავებელთან,“ — აღნიშნა ალეკო ხოშტარიამ.

განსხვავებულია იმ სტუდენტების ხარჯები, რომლებიც ბინას არ ქირაობენ და ნათესავთან ცხოვრობენ ან მუდმივი საცხოვრებელი აქვთ. როგორც აღმოჩნდა, ნათესავებთან მცხოვრები სტუდენტების 35,4% თავიანთ მასპინძლებს გადასახადების გადახდაში ეხმარებიან, ხოლო 64,6%-ს ნათესავები გადასახადებს არ ახდევინებენ.

იმ 35,4%-ის 61,9% ამბობს, რომ თავიანთ ნათესავებს ყოველთვიურად 50-100 ლარით ეხმარებიან, ხოლო 23,8%-ის შემთხვევაში ეს თანხა 150-საც უკაკუნებს. 9,5%-ის თქმით, ნათესავებს 200 ლარითაც ეხმარებიან, ხოლო 4,8% ამბობს, რომ მათი დახმარების წილი მინიმალურია და ის 50 ლარს არ სცილდება.

ყოველთვიური ხარჯები

ბინის გარდა, სტუდენტებს უამრავი სხვა ხარჯიც აქვთ. მაგალითად, მათ ყოველდღიურად უწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში საკვების მიღება ან სახლში მიტანა და, ამასთანავე, გართობაც.

ტრანსპორტის ხარჯები, როგორც ჩანს, გამოკითხულთა 60,5%-ისთვის ყოველთვიურად 20-40 ლარს შეადგენს, 24%-ისთვის 41-60 ლარს, ხოლო 15,5%-ისთვის 60 ლარს და ზოგჯერ მეტსაც.

როგორც ჩანს, სტუდენტები ყველაზე მეტ ფულს, ბინის ქირის გამოკლებით, სწორედ კვებაში ხარჯავენ. ამ მაჩვენებელში შედის სიგარეტისა და მსგავსი წვრილმანების ხარჯებიც. გამოკითხულთა 42,6% ამბობს, რომ მათი ყოველთვიური ხარჯი კვებაში 150 ლარს არ აღემატება და ეს იმის დამსახურებაა, რომ მათ ნათესავები ეხმარებიან. 40,3% ამბობს, რომ მათი ხარჯები 300 ლარს აღწევს; 13,2%-ისთვის ხარჯები 301 ლარსა და 600 ლარს შორის მერყეობს, ხოლო 3,9%-ს 600 ლარზე მეტიც ეხარჯება.

„კვებაში ყველაზე მეტი ფული მეხარჯება. განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ პროდუქტები ძვირდება. ამის გარდა, უამრავი დეტალია — შამპუნი, ტუალეტის ქაღალდი, ჭიქა, თეფში და მრავალი რამ,“ — ამბობს ქუთაისიდან ჩამოსული სტუდენტი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები ყველაზე მეტად გართობაში ფულის ხარჯვას ერიდებიან. მაგალითად, გამოკითხულთა 43,1% ამბობს, რომ ისინი ყოველთვიურად 50-100 ლარზე მეტს ვერ იმეტებენ გართობისთვის; 15,4% ამბობს, რომ გართობაში 150 ლარამდე ეხარჯება, 8,5%-ს 200 ლარამდე, ხოლო 6,9%-ს 200 ლარზე მეტი. ამის პარალელურად, 26,2% ამბობს, რომ მათ გართობისთვის საერთოდ არ რჩებათ ფული.

შემოსავლის წყარო

შემოსავლის წყარო სტუდენტებისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს არ აქვთ სტაბილური შემოსავალი და მათი დიდი ნაწილი სწავლის პარალელურად დედაქალაქში სამსახურის შოვნას ვერ ახერხებს.

გამოკითხულთა 68,7% ამბობს, რომ მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო მშობლების დახმარებაა. 27,5% ამბობს, რომ მუშაობენ, მაგრამ მათი შემოსავალი არ არის საკმარისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად და მათ მშობლებიც ეხმარებიან. მხოლოდ 1,5% ამბობს, რომ ისინი მუშაობენ და ეს არის მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო, მათ მშობლები არ ეხმარებიან; 2,3%-ისთვის კი შემოსავლის სხვა წყაროები არსებობს.

საბოლოო ჯამში, ყოველთვიური ხარჯი კვების, ბინის უზრუნველყოფისა და კომუნალურების ჩათვლით, გამოკითხულთა 39,5%-ისთვის საშუალოდ 300-დან 600-ლარამდე შეადგენს; 35,7%-ისთვის 300 ლარს, 12,4%-ისთვის 600-დან 900-ლარამდე და ასევე 12,4%-ისთვის 900 ლარს და მეტს.

დიმიტრი სანაია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ჩვენი დროის „ყველაფერშიჯი“

არაფერი ისეთი — ერთი სტუდენტი მინდა გაგაცნოთ, რომელსაც, შესაძლოა, უნივერსიტეტის კედლებში ხშირად ხვდებით და არ იცით, რომ ამ ადამიანში უამრავი ნიჭი იმალება.

საყურეები, თმის სამაგრები, კედები, მაისურები — ეს იმ ნივთების მცირე ჩამონათვალია, რომელსაც 20 წლის ელენე ბოჭორიშვილი რამდენიმე წელია საკუთარი ხელით აკეთებს. არა მარტო აკეთებს, არამედ უკვე პატარა ბიზნესიც აქვს და ბავშვობის ოცნებას, გამხდარიყო დიზაინერი, ნელ-ნელა ფრთებს ასხამს.

„ბავშობიდანვე მიზიდავდა დიზაინერობა და ჩემით რაღაცების შექმნა. პირველად ექვსი წლის ასაკში ავაწყვე თოჯინა ძველი რეიტუზებით და პატარ-პატარა დეტალებით,“ — ახლა ამ ფაქტს სიცილით იხსენებს, მაგრამ დიზაინერობის საწყის ეტაპად სწორედ ამას მიიჩნევს. უფრო სერიოზულად მუშაობა კი მოზარდობის პერიოდში დაიწყო.

პირველად გადააკეთა თეთრი კედები, რომლებიც ბეწვით და რამდენიმე დეტალით გაალამაზა. იდეა კი ინტერნეტში ტანსაცმლების თვალიერებისას მოუვიდა: „სურათებს ვათვალიერებდი და ვიფიქრე, ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი, ამიტომ უბრალოდ გავიარ-გამოვიარე მაღაზიებში, შევათვალიერე მასალები დალოცვილ „ლილოში“, ვიყიდე საჭირო მასალა და უბრალო კედი ტყავის ლამაზ კედად გადავაქციე“. მისმა გადაკეთებულმა ფეხსაცმელმა კი ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ გაყიდა კიდეც. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ამ გატაცებით შეიძლებოდა ფულის შოვნა. თუმცა სანამ აქტიურად დაიწყებდა შეკვეთების მიღებას, მანამდე თავისთვის ქმნიდა ტანსაცმელს: „ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, როცა ყველა ახალ ტანსაცმელს ყიდულობს, მე ჩემით გადავაკეთე ტანსაცმელი და იმით მივედი,“ — იხსენებს ელენე.

აქსესუარების კეთება კი დის დაჟინებული თხოვნით დაიწყო. იდეების მიმწოდებელიც ის იყო. სოციალურ ქსელში რამდენიმე მათგანის დადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ უფრო დიდი სტიმული მიეცა და აქსესუარების პატარა ბიზნესიც აამუშავა: „უკვე არა მარტო გოგოებისგან, არამედ ბიჭებისგანაც ვღებულობ შეკვეთებს, რომლებსაც თავიანთი შეყვარებულებისთვის ან მეგობრებისთვის სურთ ლამაზი ნივთის ჩუქება, ეს ფაქტი კი, რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს“.

ელენე დიზაინერობასთან ერთად ანიმატორობასაც ახერხებს. ეს მისი საყვარელი საქმიანობაა, რომელიც არასოდეს

სწყინდება და აბედნიერებს. ანიმატორად მუშაობა შემთხვევით დაიწყო, როდესაც მეგობარმა შესთავაზა ერთად მისულიყვნენ ანიმატორის ვაკანსიის გასაუბრებაზე. იქიდან მოყოლებული დღემდე არაერთი გასართობი ცენტრის ანიმატორია.

ბავშვების გარდა ელენეს აუდიტორიას ხშირად მოზრდილებიც წარმოადგენენ. „რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა, რომ 30 ან 45 წლის იუბილარის პროგრამა წამიყვანია, რა თქმა უნდა, მათზე მორგებული თამაშებით და სახალისო აქტივობებით. ამ ყველაფერზე კი ჩვენ — ანიმატორები ვფიქრობთ და ვთანხმდებით. ვერ გეტყვი ბავშვებთან უფრო მსიამოვნებს დროის გატარება თუ დიდებთან, ორივეს დადებითი მხარე აქვს. ბავშვებთან მეც ბავშვი ვხდები, დიდებთან კი ის ვარ, ვინც ვარ“, — ამბობს ელენე, ვისთვისაც ანიმატორობა მხოლოდ ჯამბაზობა კი არა, დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან დიდწილად მასზეა დამოკიდებული — რამდენად კარგი იქნება იუბილარის საღამო, რამდენ ბავშვს თუ მოზარდს გაუხალისებს დღეს.

გარდა ამ საქმიანობებისა, ელენე წლებია, რაც გალობს, ყველაფერთან ერთად კი სტუდენტობასაც ახერხებს და წარმატებულად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

არაფერი ისეთი — ერთი სტუდენტი გაგაცანით, შესაძლოა, უნივერსიტეტის კედლებში მას ხშირად შეხვედრიხართ და არ იცით, რომ ამ ადამიანში უამრავი ნიჭი იმალება. ერთ მშვენიერ დღეს კი წარმატება მის კარზეც მოაკაკუნებს.

ლანა კაპანაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ქართული ანდაზები და იდიომები ელექტრონულ ბაზაშია

მაია ტორაძე

ენის იდიომებისა და და ანდაზების ფონდი სხვადასხვა ეთნოსის ისტორიული, რელიგიური და საზოგადოებრივი გამოცდილების ერთ-ერთი ინდიკატორია. მათში გადმოცემულია ერის კულტუროლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობა, ფასეულობანი, ცრურწმენები თუ სტერეოტიპები. ამის გამო იდიომები და ანდაზები ყოველთვის საინტერესოა არა მხოლოდ ენათმეცნიერებისთვის, არამედ კულტუროლოგებისა და საზოგადოების ფართო ფენებისთვის — მათთვის, ვინც დაინტერესებულია თარგმანით ან ინტერკულტურული კომუნიკაციით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წლიდან, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, დაიწყო ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით. კვლევა ითვალისწინებდა რამდენიმე განსხვავებული კულტურის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა შედარება-შეპირისპირებით ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ელექტრონული ბაზის შექმნას.

პროექტი ორწლიანი იყო. ის წელს დასრულდა და, თსუ-ის აკადემიური პერსონალის ძალისხმევით, დღეს უკვე არსებობს ელექტრონული ბაზა, სადაც თითოეულ იდიომსა და ანდაზას მოძებნილი აქვს შესაბამისი ეკვივალენტი შესწავლილ ენებში.

პროექტს ხელმძღვანელობდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა რუსიეშვილი. მასში ასევე ჩართულნი იყვნენ: ასოცირებული პროფესორები: რუსუდან დოლიძე (ინგლისური ენა), მანანა მუჯირი (გერმანული ენა), ქეთევან ლორთქიფანიძე (თურქული ენა), ხათუნა თუმანიშვილი (არაბული ენა), ტატიანა მოსკალენკო-ჭეიშვილი (რუსული ენა); დოქტორანტები: ნატო ახალაია (ქართული ენა), მარინა კვანტალიანი (ფრანგული ენა), სოფიო თოთიბაძე (პროექტის დამხმარე წევრი), დავით გულია (კომპიუტერული სპეციალისტი).

საგრანტო პროექტის ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა რუსეიშვილი.

— ქალბატონო მანანა, რა სამუშაოები ჩატარდა პროექტის ფარგლებში და რა შედეგები გამოიკვეთა — თუ აღმოჩნდა ქართულის იდენტური ანდაზები და იდიომები თქვენ მიერ შესწავლილ ენებში?

— როგორც ვიცით, იდიომები და ანდაზები წარმოადგენენ ძალიან საინტერესო შრეს არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის თვალსაზრისითაც. მათი თარგმანი ძალიან რთულია, რადგან ხატოვანი შიდა ფორმა ხშირად საშუალებას არ იძლევა ისინი პირდაპირი მნიშვნელობით გადავიტანოთ სხვა ენაში. ერთ-ერთი დიდი სირთულე და ამოცანა ამ გრანტისა სწორედ ეს იყო

ქართული ენის იდიომებსა და ანდაზებს დაძებნოდა შესაბამისობები ყველა დანარჩენ საკვლევ ენაში. ცნობილია, რომ ეკვივალენტი შეიძლება იყოს როგორც სრული (ანუ ფორმითა და შინაარსით თანხვედრილი), ასევე ნაწილობრივიც. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ფორმალური გამოხატვის ფორმა განსხვავებულია, მაგრამ აზრი — იდენტური. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტების დაძებნა იყო ამ კვლევის ამოსავალი წერტილი. შესაბამისად, კვლევამ გამოავლინა ქართული ენისა და სხვა ენის (ან ენების) სრული და ასევე ნაწილობრივ იდენტური ერთეულები.

კვლევა წარიმართა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიმართულებებით. პროექტის თეორიულ საფუძვლად ავიღეთ ჩემ მიერ შეთავაზებული მეტაფორის სემანტიკური სტრუქტურის მოდელი, რომელიც ეკვივალენტობის დიდი სიზუსტით დადგენის საშუალებას იძლევა და რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ ერთი ენის, არამედ ენათაშორის სიბრტყეზეც.

— რას გულისხმობს თქვენ მიერ შეთავაზებული მეტაფორის მოდელი?

მანანა რუსეიშვილი

— ამ მოდელის მიხედვით, მეტაფორის, მათ შორის, ანდაზისა და იდიომის მეტაფორის სემანტიკური სტრუქტურა შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული შრისაგან: პირველ შრეზე დაფიქსირებულია ანდაზის და იდიომის მეტაფორული ფორმა, მეორე შრეზე დაფიქსირებულია მისი ზოგადი მნიშვნელობა. აქვეა დაფიქსირებული კონტექსტუალური და პრაგმატიკული პარამეტრები, რომელიც გვეუბნება, თუ რომელ კონტექსტში რა მნიშვნელობით, ვისთან და რასთან მიმართებით იხმარება ანდაზა ან იდიომი. მესამე შრეზე კი ფიქსირდება ანდაზისა და იდიომის კულტუროლოგიური პარამეტრები, ანუ, ფაქტობრივად, ეს არის ფონური ცოდნის შრე, რომელიც ასახავს ფონური ცოდნის იმ მონაკვეთს, რომელიც კონკრეტულ ანდაზაში (ან იდიომში) აქტუალიზდება. მაგალითად, ქართული ანდაზის: „რკინა მაშინ გამოჭედე, როცა ცხელია“, — სემანტიკური სტრუქტურის პირველ შრეზე ფიქსირდება მისი მეტაფორული ფორმა, მეორე შრეზე მისი ზოგადი მნიშვნელობა. კერძოდ, ის, რომ საქმე დროზე უნდა გაკეთდეს, ხოლო მის მესამე შრეზე ფიქსირდება ფონური ცოდნა, რომლის მიხედვითაც რკინის გამოჭედვა, ან სასურველი ფორმის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ცხელია.

პროექტი განხორციელდა რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე დაზუსტდა კვლევისთვის რელევანტური თეორიული აპარატი და ტერმინების მოცულობა, რითაც შეიქმნა მისი თეორიული ფუნდამენტი. სწორედ ამ ფუნდამენტზე დაშენდა შემდგომ იდიომებისა და ანდაზების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც აიგო სემანტიკური ველებისა და მათ შიგნით სემანტიკური მოდელების გამოყოფის პრინციპით. კვლევის შემდგომ, მეორე ეტაპზე შედარდა მიღებული მონაცემები და დადგინდა ამ ენების (ქართული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, თურქული და არაბული) იდიომებისა და ანდაზების სისტემების სემანტიკური და კულტუროლოგიური თავისებურებები. რა თქმა უნდა, გამოიკვეთა როგორც მათ შორის სრული თანხვედრა, ასევე აზრობრივი შესაბამისობები. ისეთ ერთეულებს, რომლებშიც არ დადასტურდა არც ერთი ტიპის ეკვივალენტურობა, დაერთო სიტყვა-სიტყვითი თარგმანი.

— რამდენი იდიომი და ანდაზაა მონაცემთა ბაზაში შესული?

— ქართულში მოიძებნა 7 ათასამდე ერთეული და თითოეულ შესწავლილ ენაში მოიძებნა ამავე რაოდენობის ეკვივალენტი ან თარგმანი. ეს იყო კოლოსალური სამუშაო და პროექტში ჩართულმა მკვლევრებმა უზარმაზარი სამუშაო შეასრულეს. საერთო ჯამში თავი მოიყარა 35 ათასამდე ერთეულმა, თუმცა, ბაზა მუდმივად განახლებადია და მომავალშიც არაერთი ეკვივალენტური ფორმით შეივსება.

— რა სამეცნიერო და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს ამ ტიპის ფონდის შექმნას, რას მისცემს ის მკვლევრებს, მთარგმნელებს და დაინტერესებულ ადამიანებს?

— საქმე ისაა, რომ ფრაზეოლოგიური (იდიომატური) და ანდაზების ფონდების კულტუროლოგიური და ენობრივი ასპექტების ასეთი მასშტაბის კვლევა ჯერ არ განხორციელებულა არც საქართველოში და არც, როგორც ინფორმირებულნი ვართ, საზღვარგარეთ, მით უფრო, ჩვენ მიერ შესწავლილი ენების (აღმოსავლურ და ევროპულ) ანდაზებისა და იდიომების ფონდების მონაცემთა გათვალისწინებით. სამეცნიერო თვალსაზრისით პროექტი მეტად შედეგიანი იყო — კვლევის ყოველი ეტაპის შედეგები განზოგადდა ერთობლივ პუბლიკაციებში, რომლებიც დაიბეჭდა საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოხსენებები გაკეთდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, კერძოდ, მილანსა და რომში.

რაც შეეხება მის გამოყენებითობას, ელექტრონული ბაზის მისამართი ხელმისაწვდომია ყველასთვის და მთარგმნელებს და დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ ამ ბაზით ისარგებლონ. რათა ის მეტად ცნობილი გახდეს, გვინდა ეს ბაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც განვათავსოთ.

ქართულ-ოსური სამეცნიერო ურთიერთობების ფარგლებში ორი ახალი წიგნი გამოიცა

ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიაში პირველად გამოიცა ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა ქართულენოვანი მკითხველისთვის. წიგნის ავტორი პროფესორი ნაირა ბეპიევა გახლავთ. როგორც გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკის შექმნა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, მათ შორისაა ტერმინთა შესაბამისობები ქართულთან მიმართებაში, მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც პრაქტიკულ გრამატიკას თეორიულისგან განასხვავებდა. წიგნში გავლებულია პარალელები ქართული და ოსური ენების გრამატიკულ მსგავსება-განსხვავებასთან დაკავშირებით, ანუ გამოყენებულია შედარებით-გრამატიკული მეთოდი.

„მიუხედავად ქართულ-ოსური მჭიდრო სამეცნიერო თუ სხვა სახის ურთიერთობებისა, ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა ქართულენოვანი მკითხველისათვის აქამდე არ არსებობდა. თანამედროვე ვითარება კი ასეთია: საკმაოდ ბევრი ეთნიკურად ოსი მხოლოდ ქართულენოვანია, არ იცის მშობლიური ენა. ასეთი სახელმძღვანელო — „ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“, — დიდ დახმარებას გაუწევს მათ ენის შესწავლაში. გარდა ამისა, ოსურ ენას სხვებიც ეუფლებიან. ოსური ენა არჩევით საგნადაა შეტანილი საქართველოს რამდენიმე სკოლაში, ისწავლება ოსური ენის ფაკულტეტური კურსებიც. ბილინგვური სწავლების დამკვიდრებისთანავე აუცილებელი გახდა ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს, გამოცემა“, — განაცხადა წიგნის ავტორმა, პროფესორმა ნაირა ბეპიევამ.

„ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გამოსცა, პრეზენტაცია 29 სექტემბერს გაიმართა. ამავე დღეს საზოგადოებას წარუდგინეს „ქართულ-ოსურ-რუსულ-ინგლისური და ოსურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური“ სასაუბრო, რომელიც ამ სახის, ასევე, პირველი გამოცემაა. სასაუბროში 100-ზე მეტი თემაა წარმოდგენილი – მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, მიპატიჟება, ბოდიშის მოხდა და ა.შ. სასაუბროს თან ერთვის კომპაქტდისკი, რომელშიც ყველა ძირითადი თემაა ჩაწერილი. სასაუბროს მთავარი შემადგენელი პროფესორი ნაირა ბეპიევაა.

წიგნები „ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“ და „ქართულ-ოსურ-რუსულ-ინგლისური და ოსურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური“ სასაუბრო გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივის, COBERM-ის, ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემების პრეზენტაცია 29 სექტემბერს გაიმართა.

ჩვენს ინსტიტუტს საიმედო მხარდამჭერი და ხელისშემწყობი ჰყავს

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია — იყოს ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტი როგორც საქართველოში, ისე რეგიონში. ამდენად, მასში შემავალი სამეცნიერო ინსტიტუტების განვითარება მის პირდაპირ ინტერესებში შედის. თსუ-ის სტრატეგია ასეთი ინსტიტუტების ხელშეწყობაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დღეს 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია და მათი წვლილი მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია.

ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის სამეცნიერო აქტივობებითა და მიღწევებით გამოირჩევა მდიდარი ტრადიციების მქონე პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური პროფილის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა. მას არსებობის 74 წლოვანი ისტორია აქვს, რომელიც მიუხედავად ახლო წარსულში შექმნილი მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებისა, ღირსეულად აგრძელებს თავის საქმიანობას.

ინსტიტუტის საქმიანობის, გეგმების, წარმატებებისა და პრობლემების შესახებ გვესაუბრება ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე.

ბატონი რამაზი მისი ინიციატივით დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის — „ეკონომისტის“(„ECONOMICS~) და „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების“ კრებულის“ მთავარი რედაქტორია. იგი არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის, 7 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს) ავტორი, არაერთი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 4 სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტის მიღწევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბატონი რამაზის ძალისხმევითა და მონდომებით დღეს ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუტია, რომელიც აღიარებულია არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერების მიერ.

რამაზ აბესაძე

ინტერვიუ

— ბატონო რამაზ, თქვენი ინსტიტუტის საქმიანობა მრავალ ათწლეულს მოიცავს, ინსტიტუტმა ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“ ინდექსირებულია დიდ ელექტრონულ ბაზაში (ERIH PLUS), რომელიც ადასტურებს მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური სამეცნიერო წრეების მიერ ქართული ეკონომიკური მეცნიერების აღიარებას. რა გზა გამოიარა ინსტიტუტმა ასეთ წარმატებამდე და რა ძირითად შედეგებს მიაღწია ინსტიტუტმა ბოლო 10 წლის განმავლობაში?

— ეკონომიკის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1944 წელს დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებამ დიდი იმპულსი მისცა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას საქართველოში, როგორც სამეცნიერო კვლევების გაძლიერების, ისე სამეცნიერო კადრების აღზრდის მიმართულებით. მისი დირექტორები იყვნენ აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გიორგი წერეთელი, რომელთაც თავიანთი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის განვითარების საქმეში. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე გამოქვეყნდა მრავალი სამეცნიერო პროდუქცია (სამეცნიერო კრებულები, მონოგრაფიები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციები, ბროშურები, სტატიები), რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანის ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

ბოლო 10 წლის მანძილზე, მიუხედავად ცნობილი სიძნელეებისა, თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თითქმის გავასამმაგეთ ერთი წლის განმავლობაში გამოცემული ნაშრომების რაოდენობა, რომელთაგან დიდი ნაწილი გამოცემულია საზღვარგარეთ, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. ამ ნაშრომებში გამოთქმულია არა ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის იდეა. ნაშრომები ინდექსირებულია სხვადასხვა ელექტრონულ საძიებო ბაზებში და აქვთ ციტირების ინდექსი. გამოქვეყნებული ნაშრომების მხრივ გამოირჩევიან ინსტიტუტის თანამშრომლები: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები — ალფრედ კურატაშვილი, როზეტა ასათიანი, ვახტანგ ბურდული, გიორგი ბერულავა, მურმან კვარაცხელია და სხვ.

ნაბიჯები გადავდგით საერთაშორისო სტანდარტების მიღწევის მიმართულებით: 2008 წელს დავაარსეთ საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. 2016 წლიდან იგი გამოდის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული (www.ekonomisti.tsu.ge) ფორმით (ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე) და ინდექსირებულია დიდ ელექტრონულ ბაზაში (ERIH PLUS), რაც ზრდის არა მხოლოდ ჟურნალის, არამედ ინსტიტუტის და, ალბათ, ეკონომიკური მეცნიერების რეიტინგს ქვეყანაში. დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 50 ნომერი.

2008 წელს ასევე დავაარსეთ „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, რომელშიც იბეჭდება შრომები თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებზე. დღეისათვის გამოცემულია 9 ტომი.

ყოველ წელს ინსტიტუტის ორგანიზებით ტარდება საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციები (ჩატარდა 8 საერთაშორისო და 2 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია). გამოიცა კონფერენციის მასალათა 10 კრებული.

სამეცნიერო ურთიერთობების გაძლიერების მიზნით შეიქმნა ინსტიტუტის (www.pgie.tsu.ge) და საერთაშორისო კონფერენციების (www.conferenceconomics.tsu.ge) ვებ-გვერდი და კონფერენციების მასალები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება ინტერნეტში. წელს პირველად ვატარებთ საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენციას.

დაარსდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“ რედაქცია. ენციკლოპედიის შექმნა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტს ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ამჟამად მიმდინარეობს დამამთავრებელი სამუშაოები ენციკლოპედიის პირველ ტომზე, ეს სამუშაო მეტად შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს;

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, რომელიც მიენიჭათ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, აწ განსვენებულ პროფესორ გიორგი პაპავასა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ როზეტა ასათიანს.

ინსტიტუტის თანამშრომლებს მჭიდრო ურთიერთობები აქვთ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, მონაწილეობას ღებულობენ სამეცნიერო ფორუმებში, ისინი არიან უცხოური სამეცნიერო გამოცემების სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრები და სხვ.

დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით ინსტიტუტში ფუნქციონირებს სასწავლო კურსები და გამომცემლობა.

სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის მიხედვით ინსტიტუტი ზედიზედ ორჯერ — 2009 და 2010 წლებში, აღიარებული იქნა გამარჯვებულად (როგორც საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია) საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომელსაც ავლენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ აღნიშნული კონკურსი აღარ ჩატარებულა ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთების გამო.

— რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბევრი სხვა ინსტიტუტისგან განსხვავებით, ეკონომიკის ინსტიტუტმა შეინარჩუნა შენობა, თანამშრომლებიც და წარმატებებსაც მიაღწია?

— ალბათ, თავდადებული შრომა და სწორი პოლიტიკა...

— რა მისცა ეკონომიკის ინსტიტუტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციამ?

— როგორც არაერთხელ მითქვამს, ამ ინტეგრაციამ ინსტიტუტი გააძლიერა. თსუ-ის ადმინისტრაციის სახით ჩვენს ინსტიტუტს საიმედო მხარდამჭერი და ხელისშემწყობი ჰყავს. ინსტიტუტის ძალებით და თსუ-ის დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ნაწილობრივ გარემონტდა შენობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კაბინეტი, გარემონტდა და შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვა სხდომათა დარბაზი, გაიზარდა კომპიუტერების რაოდენობა, დამონტაჟდა გამათბობელი ტექნიკა, შემოყვანილ იქნა ბუნებრივი აირი, ინტერნეტი; შეიქმნა ინსტიტუტის ვებ-გვერდი და ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციების ვებ-გვერდი და სხვა. თუმცა, ინსტიტუტის უნივერსიტეტთან ჯანსაღი ინტეგრაციის მიმართულებით ჯერ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

— ეროვნული მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან. ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობებზე რას გვეტყვით?

— ინსტიტუტს კავშირები აქვს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრთან, მათი წარმომადგენლები ასევე აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენს ჟურნალთან „ეკონომისტი“. მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები რუსლან გრინბერგი და დიმიტრი სოროკინი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი); პროფესორები: სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), ლარისა ბელინსკაია (ვილნიუსის უნივერსიტეტი), სიმონე გუერჩინი (ფლორენციის უნივერსიტეტი), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი) და სხვები ჩვენს ინსტიტუტთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მრავალი ქვეყნის მეცნიერი მონაწილეობს ინსტიტუტის ეგიდით გამართულ კონფერენციებში, აქვეყნებენ სტატიებს ჟურნალ „ეკონომისტში“ და სხვ.

— რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ეკონომიკის ინსტიტუტი?

— ინსტიტუტის მიზანია კიდევ უფრო გავაღრმავოთ მუშაობა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების გაძლიერების მიმართულებით.

ინსტიტუტის მისიაა, აგრეთვე, მონაწილეობის მიღება სასწავლო პროცესში აკადემიური სამეცნიერო კადრების აღზრდის მიმართულებით, რაშიც ინსტიტუტს დიდი ტრადიცია და მდიდარი გამოცდილება აქვს, რისი არ გამოყენებაც შეცდომა იქნებოდა.

თავისი მისიის შესასრულებლად ინსტიტუტს შესაბამისი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია. დარწმუნებულები ვართ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მხარს დაგვიჭერს და ინსტიტუტს სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების შესაძლებლობები მიეცემა.

ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ შვიდწლიან მსხვილ პროექტზე — „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“. პროექტის არჩევა განაპირობა საქართველოს ეკონომიკაში არსებულმა მდგომარეობამ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ახალი, ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით. საბოლოოდ შემუშავდება რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესახებ, რომელშიც აისახება საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მექანიზმები.

— თქვენი სამეცნიერო თემატიკა ეკონომიკური განვითარების პრობლემებს უკავშირდება. თუ გაქვთ სიახლეები ამ მიმართულებით?

— მოკლედ რომ გიპასუხოთ, სიახლეებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რაც შემოთავაზებული გვაქვს: კონსოლიდირებული ეკონომიკისა და სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მესაჭის, კონცეფციები; ეკონომიკური განვითარების დებულება ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი მოქმედების შესახებ, რასაც „ეკონომიკურ კლებას“ ვუწოდებთ და რაც მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. გვაქვს ასევე სხვა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის სიახლეები.

გედევან ხელაია: არც მდომებია და არც მინდა სამშობლოზე უკეთ ვიცხოვრო!

თამარ დადიანი

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი გედევან ხელაია, რომლის დაბადებიდან 90 წლისთავისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლის აღსანიშნავად საზეიმო სხდომა გაიმართა.

სხდომას უძღვებოდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით, იუბილარს მიესალმა აკადემიკოსი როინ მეტრეველი. მთავარი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა გედევან ხელაიას ბიოგრაფიის ძირითად მომენტებზე, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე.

„ჩემთვის ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა შეხვედრა ბატონ გედევან ხელაიასთან. თქვენ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით, ყველა დიდად გაფასებთ და ჩვენთვის სამაგალითო პიროვნება ხართ და იქნებით“, — ასე მიმართა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ იუბილარს და მათი ურთიერთობის ისტორიიდან ორი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა, რომელიც ბატონი გედევანის პრინციპულობას და სამართლიანობას უსვამდა ხაზს.

აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ იუბილარის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ისაუბრა და გაიხსენა სტუდენტობის წლები, როცა ბატონი გედევანი მისი მასწავლებელი იყო.

იუბილარს მიესალმა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი კოვზანაძე, რომელმაც მის პედაგოგიურ დამსახურებასა და ღვაწლზე ისაუბრა.

„ღირსეული, სამართლიანი, ინტელიგენტი, გულისხმიერი, კეთილშობილი, ამავდროულად პრინციპული და კეთილგანწყობილი პიროვნება“ — ასე დაახასიათეს ღვაწლმოსილი მეცნიერის გამორჩეული ადამიანურ თვისებები პროფესორებმა: ემზარ ჯგერენაიამ, ნოდარ ჭითანავამ, მერაბ კაკულიამ, რამაზ აბესაძემ და სხვებმა, რომლებმაც იუბილარს შემდგომი წარმატებები უსურვეს.

უნივერსიტეტი ბატონი გედევანის ცხოვრებაში მთელი ეპოქაა. სტუდენტობის დაწყებისთანავე განსაკუთრებით გაიტაცა გამოჩენილ ეკონომისტ-მეცნიერების: ფილიპე გოგიჩაიშვილის, გიორგი გეხტმანის, ნიკოლოზ ქოიავას, პაატა გუგუშვილის და სხვათა ლექციებმა და 18 წლის ჭაბუკმა მიზნად დაისახა სახელოვანი მასწავლებლების გზას დასდგომოდა. ახალბედა სტუდენტი მთლიანად „ჩაიძირა“ უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

შრომისმოყვარეობამ და სიბეჯითემ თავისი გაიტანა: ბატონი გედევანი მალე გახდა კათედრის ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი. 1662 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს სადოქტორო დისერტაციები, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებაში შევიდა, როგორც ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ეკონომიკური მეცნიერების საქვეყნოდ აღიარებულმა ქურუმებმა, კერძოდ კი პროფესორებმა: ივან ზლობინმა, ოლეგ ლავრუშინმა და ვასილ ჩანტლაძემ. მალე ბატონი გედევანი გახდა პროფესორი და იმ კათედრის გამგე, სადაც გადადგა პირველი მოკრძალებული ნაბიჯი მეცნიერებაში.

ბატონი გედევანი თბილისის უნივერსიტეტში 40 წლიანი მუშაობის შემდეგ გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი გახდა.

უაღრესად შემოქმედებითი და ნაყოფიერია გედევან ხელაიას მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკური პრობლემების, კერძოდ, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სფეროს — ფულის მიმოქცევის კრედიტისა და ფინანსების კვლევის მიმართულებით.

ბატონი გედევანი 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და 12 მონოგრაფიის ავტორია. აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომელიც ჩატარდა დრეზდენში, ბერლინში, მეხიკოში, ბუდაპეშტში და სხვაგან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თუ რა არის მისი ახალგაზრდული იერ-სახის შენარჩუნებისა და აქტიური საქმიანობის საიდუმლო, ბატონმა გედევანმა ასე გვიპასუხა: „სიცოცხლის გონივრული სიყვარული, რომელიც მკაცრ ზომიერებას ემყარება. ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის ჰარმონიული შეხამება, დღის რეჟიმის სისტემატური დაცვა. თავისუფალი ვარ ბოროტებისგან, შურისა და ორპირობისგან. ყველასთვის კეთილი და კარგი მსურს. გულით მახარებს კოლეგებისა და ახალგაზრდების წარმატებები და მზად ვარ, დახმარების ხელი გავუწოდო ყველას, ვისაც კი ესაჭიროება. ჩემთვის ყველაზე მთავარი სამშობლოს, მრავალჭირნახული საქართველოს ბედ-იღბალია. ჩემი ლხინი და გაჭირვება მისი ჭირითა და გაჭირვებითაა განპირობებული. კაცმა რომ თქვას, არც მდომებია და არც მინდა სამშობლოზე უკეთ ვიცხოვრო!“, — აცხადების იუბილარი, რომელსაც დაბადებიდან 90 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა

მზია ლეკვეიშვილის „სამართლის სკოლა“

მზია ლეკვეიშვილი

ცნობილ იურისტს, თსუ-ის ემერიტუს პროფესორს, კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს მზია ლეკვეიშვილს 27 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საუნივერსიტეტო საზოგადოება ემერიტუს-პროფესორის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე შეიკრიბა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა. ემერიტუს-პროფესორი მზია ლეკვეიშვილი კოლეგებმა, სტუდენტებმა, მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა გაიხსენეს. მძივებიანი ქალბატონის, როგორც მას მეგობრები და კოლეგები მოიხსენიებენ, სამეცნიერო მოღვაწეობისა და პიროვნული თვისებების შესახებ არაერთი თაობის წარმომადგენელმა ისაუბრა. სათქმელი ყველას ჰქონდა და საკმაოდ ბევრიც.

ემერიტუს-პროფესორი მზია ლეკვეიშვილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში. იგი რამდენჯერმე გახლდათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემმუშავებელი კომისიის წევრი — მოქმედ კოდექსსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში მისი ინიციატივით არაერთი პროგრესული დებულებაა ასახული. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1945 წელს ჩააბარა. 1953 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, რომელიც ქართული სამართლის ისტორიას შეეხებოდა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი სისხლის სამართლის მიმართულებაზე შეაჩერა. საბჭოთა კავშირის პერიოდში აქტიურად წერდა რუსიფიკატორული პოლიტიკის შესახებ და მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, საჯაროდ და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსულ ენაზე სწავლების იდეას.

„ნათქვამია, ადამიანი იქამდე ცოცხლობს, სანამ ის ვინმეს უყვარს. დღევანდელი საღამო დასტურია იმისა, რომ ქალბატონი მზია უამრავ ადამიანს უყვარს და პატივს სცემს.

ერთხელ, საუბრისას, ქალბატონმა მზიამ მითხრა — ადამიანის ხასიათი მისი ბედისწერაა. ქალბატონი მზიას მტკიცე, ურყევი ხასიათი და ბუნება ყველასგან გამოარჩევდა — იურისტისთვის დამახასიათებელ თვისებებს ქალური კდემამოსილება ავსებდა. იგი თავისი ცხოვრების წესით მაგალითად იქცა. ყველაფერი საუკეთესოდ გამოსდიოდა: საჩვენებელი იყო მისი ლექცია, აკადემიური იყო მისი გამოსვლები, მისი ნაშრომები — ღრმა და საინტერესო. საოცრად უყვარდა სტუდენტები და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მათ საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა“, — აღნიშნა პროფესორმა მაია ივანიძემ.

საუნივერსიტეტო საზოგადოება ქალბატონ მზია ლეკვეიშვილს იხსენებს არა მარტო როგორც დიდ მეცნიერსა და ცნობილ იურისტს, არამედ როგორც არაჩვეულებრივ ადამიანსა და კარგ პედაგოგს. სტუდენტები იხსენებენ, რომ მათი წარმატება ქალბატონ მზიას ისევე უხაროდა, როგორც საკუთარი და ყოველთვის სიხარულით აღნიშნავდა — „моя школа“. მზია ლეკვეიშვილის „სამართლის სკოლა“ მართლაც არაერთმა თაობის წარმომადგენელმა გაიარა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ სითბოთი გაიხსენა, თუ როგორ გადაარჩინა ქალბატონმა მზიამ იგი მილიციის უფროსის თანამდებობის დაკავებას.

„ქალბატონი მზია ჩემი პედაგოგიც იყო. ეს იყო 70-იანი წლები. ამ დროისთვის იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. კურსზე შუახევის რაიონის პროკურატურაში სტაჟირებაზე გამგზავნეს. როგორც ჩანს, მოვეწონე პროკურორებს და უნდოდათ რაიონის მილიციის უფროსად დავეტოვებინე. დაურეკეს ქალბატონ მზიას და შესთავაზეს ჩემი რაიონში დატოვება. ქალბატონმა მზიამ უთხრა, ეგ მილიციის უფროსად არ გამოდგებაო, სერგო ჯორბენაძე მას ასპირანტურაში ტოვებსო. აი, ასე გადამარჩინა, თორემ ახლა „პაგონებით“ ვიქნებოდი წარმოდგენილი. ის ნამდვილი პედაგოგი გახლდათ, სტუდენტში ობიექტს კი არ ხედავდა, ხედავდა ადამიანს, რომლისგანაც პროფესორმაც უნდა ისწავლოს“, — იხსენებს ბესარიონ ზოიძე.

ქალბატონ მზია ლეკვეიშვილთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა თსუ-ის კანცლერს ნუნუ ოვსიანიკოვას. იგი იხსენებს, რომ ქალბატონი მზიას შესახებ ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ქიმიის ფაკულტეტზე სწავლისას შეიტყო, თუმცა მათი ახლო ურთიერთობა ცოტა მოგვიანებით დაიწყო.

„ჩვენ ვიცოდით — ვინ იყო ქალბატონი მზია, ასევე ვიცოდით, თუ ვინ იყო ჩვენს ფაკულტეტზე საუკეთესო სტუდენტი — ნელი ჩიქოვანი, რომელიც ლამაზი, ჭკვიანი, ენების მცოდნე და მისაბაძი სტუდენტი გახლდათ თითოეული ჩვენთაგანისათვის. ასპირანტი რომ გავხდი, მე და ნელი გვერდი-გვერდ ვმუშაობდით. ამ დროისათვის იგი უკვე იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი. გავვოცდი, როდესაც გავიგე, რომ ნელი ჩიქოვანი ქალბატონი მზია ლეკვეიშვილის ქალიშვილი გახლდათ. იმდენად მიუკერძოებელი იყო ქალბატონი მზია, რომ ამის შესახებ არავინ იცოდა. არავითარი მფარველობა, რასაც შეჩვეულები ვართ, არ ყოფილა. ამ დროს გავიცანი ქალბატონი მზია, რომელიც ყოველთვის ინტერესდებოდა და ზრუნავდა მისი ქალიშვილის მეგობრებზე. იგი გახლდათ კომპეტენტური, მრავალი თაობის აღმზრდელი, დამრიგებელი, ახალგაზრდული სულის, ენერგიული, თანამედროვე, ყველასთვის საყვარელი და მისაბაძი, მკაცრი, მომთხოვნი, თბილი, მზრუნველი, მიუკერძოებელი, ჩვენი საამაყო „მძივებიანი ქალბატონი“, — ასე დაახასიათა თსუ-ის კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ ქალბატონი მზია ლეკვეიშვილი.

პროფესორი მზია ლეკვეიშვილი თუ სტუდენტს უარყოფითად შეაფასებდა, მაინც მის მეგობრად რჩებოდა. შეეძლო კოლეგებისა და სტუდენტების თანადგომა და თანაგრძნობა. ბოლო დრომდე აოცებდა გარშემო მყოფებს საკუთარი პროგრესული, თანამედროვე იდეებით.

„მე თავს ქალბატონი მზიას მეგობრად ვთვლიდი, ამის საფუძველი მან თავად მომცა. განსაკუთრებული თანაგრძნობა ვიგრძენი თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების დაარსებისას, მუდამ გვესაუბრებოდა თინათინ წერეთლის ღვაწლზე. გვიყვებოდა მის სკოლაზე და მისი სკოლის წარმომადგენლებზე. სტუდენტებთან ერთად ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდა და უხაროდა მათი წარმატება. განსაკუთრებით მიგვითითებდა საერთაშორისო აქტიურობაზე. ქალბატონი მზია გვისახელებდა მის უცხოელ კოლეგებს და გვესაუბრებოდა მათთან ურთიერთობაზე, გვისახელებდა მათ ნაშრომებსაც. იგი ადამიანურ ურთიერთობებს ძალიან უფრთხილდებოდა. სამართლიანობა, პირდაპირობა, გულწრფელობა მისთვის დამახასიათებელი თვისებები იყო. მან ლამაზად და აქტიურად იცხოვრა“, — აღნიშნა საიუბილეო საღამოზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ხუროშვილმა.

თსუ-ის ემერიტუს-პროფესორის მზია ლეკვეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო 16 ოქტომბერს გაიმართა

გაცვლითი პროგრამები 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, სამივე საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის მოკლევადიანი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს. აღნიშნული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მობილობები პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელდება.

„ამ დროისთვის 20-ზე მეტი უნივერსიტეტის სტიპენდიებზე მიმდინარეობს განაცხადების მიღება. დეტალური ინფორმაცია თითოეულ კონკურსზე (ვგულისხმობ შეთავაზებებს) განთავსებულია უნივერსიტეტის მთავარ ვებ-გვერდზე (www.tsu.edu.ge). ზოგადად, სტატისტიკური მონაცემებისთვის შემიძლია გითხრათ, რომ 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით დაფინანსებული გვაქვს 115 პროექტი 26 ევროპული ქვეყნის 66 უნივერსიტეტთან. ამ ეტაპისთვის გაცვლითი მობილობით უკვე ისარგებლა თსუ-ის 321-მა სტუდენტმა და პერსონალის 143-მა წარმომადგენელმა. საპასუხოდ, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მივიღეთ 34 სტუდენტი და 68 პერსონალი. სტიპენდიების არსებული რაოდენობის გაზრდის მიზნით, მიმდინარე წელს, 80-მდე ახალი განაცხადის გაკეთება იგეგმება როგორც ძველ, ასევე ახალ პარტნიორებთან“, — განაცხადა საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა თეა გერგედავამ.

ლუნდის (შვედეთის სამეფო), კადისისა (ესპანეთის სამეფო) და დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის სტიპენდიების პარალელურად, მიმდინარეობს განაცხადების მიღება ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის 5 გერმანულ, 2 თურქულ, 2 ფრანგულ, ლიტვურ, ფინურ, ნორვეგიულ, იტალიურ, პორტუგალიურ, პოლონურ და ავსტრიულ უნივერსიტეტებზე. თსუ-ის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ 7 ევროპული ქვეყნის 11 უნივერსიტეტში გააკეთონ განაცხადი, ხოლო დოქტორანტებს კორუნას (ესპანეთის სამეფო), ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის (ბელგიის სამეფო), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტისა (გერმანია) და ტუშას უნივერსიტეტებში (იტალია). თსუ-ის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს 17 ევროპული უნივერსიტეტის შემოთავაზება აქვთ, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები 12 უნივერსიტეტში შეძლებენ განაცხადის გაკეთებას. აქვე აღვნიშნავ, რომ უკვე დასრულდა სტუდენტური კონკურსები პორტოს (პორტუგალია), იაშის (რუმინეთი), ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის (საფრანგეთი), გრონინგენის (ნიდერლანდების სამეფო), გრანადის (ესპანეთის სამეფო), ოსტფოლდის (ნორვეგიის სამეფო) უნივერსიტეტებში. გრანადისა და რომის საპიენცას უნივერსიტეტების სტიპენდიები მოიპოვეს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს პერმანენტულად მართავს და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობების შესახებ ინფორმაციას აწვდის. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ მოეწყო შეხვედრა მობილობიდან დაბრუნებულ სტუდენტებთანაც, რომელსაც თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან ერთად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

თეა გერგედავა

პროფესორი ირინე დარჩიაც ესწრებოდა.

„შეხვედრაზე განვიხილეთ საზღვარგარეთ დაგროვილი კრედიტების თსუ-ში აღიარების პროცედურები და დაბრკოლებები, რომლებიც სტუდენტებს მობილობის დასრულების შემდეგ ხვდებათ. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და უახლოეს ხანებში თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აღმოვფხვრით ყველა იმ პრობლემას, რასაც გაცვლითი სტუდენტები აწყდებიან მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნებისას კრედიტების აღიარების ეტაპზე. ჩვენ ყველა შემთხვევას ინდივიდუალურ რეჟიმში ვსწავლობთ. ზოგადად, კრედიტების აღიარების თვალსაზრისით, პრობლემები უკანასკნელ წლებში ნაკლებია, რადგან წინასწარ დგება სტუდენტის პერსონალური სასწავლო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს როგორც სტუდენტი, ასევე თსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და მიმღები უნივერსიტეტი. ამასთანავე, ჩვენ მუდმივად კავშირში ვართ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებთან მობილობის პერიოდშიც და მაქსიმალურად ვეხმარებით მათ ყველა დაბრკოლების გადალახვაში, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს პროგრამის ადმინისტრაციულ ნაწილს. რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობას, თსუ-ის მიმართ ინტერესი ყოველთვის არის, თუმცა მათი მისაღები კონტინგენტის რაოდენობა პირდაპირ არის დაკავშირებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობასთან. შესაბამისად, ამ მხრივ გარკვეული შეზღუდვები არსებობს, თუმცა ამ კუთხითაც დადებითი დინამიკა უკანასკნელ წლებში ნამდვილად შეინიშნება“, — აღნიშნა თეა გერგედავამ.

ეკონომიკური ზრდის გააქტიურებისათვის საჭირო რეკომენდაციები უშანგი სამადაშვილის წიგნში

თამარ დადიანი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა უშანგი სამადაშვილმა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საკუთარი ხედვა და რეკომენდაციები წარმოადგინა წიგნში „დივერსიფიკაცია — საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“.

ეკონომიკურ ზრდაზე და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ლიბერალიზაციის ცალკეულ ასპექტებზე მრავლად აქვთ ნაშრომები მეცნიერ-ეკონომისტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პრობლემები, ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მაინც ნაკლებად შესწავლილ სფეროდ ითვლება. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ არსებული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი ცდაა. სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე, კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები და წაკითხული სალექციო კურსები.

ნაშრომში საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დასაბუთებულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის საჭირო რეკომენდაციებსაც წარმოვადგენ, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკის ზრდას“, — აღნიშნა წიგნის ავტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა უშანგი სამადაშვილმა.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა უშანგი სამადაშვილმა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საკუთარი ხედვა და რეკომენდაციები წარმოადგინა წიგნში „დივერსიფიკაცია — საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“.

ეკონომიკურ ზრდაზე და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ლიბერალიზაციის ცალკეულ ასპექტებზე მრავლად აქვთ ნაშრომები მეცნიერ-ეკონომისტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პრობლემები, ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მაინც ნაკლებად შესწავლილ სფეროდ ითვლება. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ არსებული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი ცდაა. სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე, კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები და წაკითხული სალექციო კურსები.

ნაშრომში საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დასაბუთებულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა ობიექტური აუცილებლობა და განსაზღვრულია ძირითადი პრიორიტეტები.

„თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში პრობლემების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის არასაკმარისი დონე.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია ევროკავშირში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა, საშინაო და საგარეო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ამ წიგნში არა მარტო საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას განვიხილავ, არამედ ეკონომიკური ზრდის გააქტიურებისთვის საჭირო რეკომენდაციებსაც წარმოვადგენ, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკის ზრდას“, — აღნიშნა წიგნის ავტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა უშანგი სამადაშვილმა.

წიგნში „დივერსიფიკაცია — საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“ ავტორის სამეცნიერო-კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით გაანალიზებულია: „საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა და გამოვლენილია მისი მომხმარებლური ბუნება. ხაზგასმულია, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება, რის გამოც მწარმოებელი და მომხმარებელი არასაკმარისადაა წარმოდგენილი, ხოლო შუამავალი სჭარბობს. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკა, არსებითად, დგას არა სამ (მწარმოებელი, შუამავალი, მომხმარებელი), არამედ ერთ ფეხზე (შუამავალზე). ეს კი ეკონომიკის ამორფულობასა და არამდგრადობაზე მეტყველებს, რაც ამცირებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. სწორედ ამიტომ, ეროვნული ეკონომიკის დაჩქარება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ სამამულო საქონლის წარმოებისათვის, არამედ შიგა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მყიდველუნარიანი მომხმარებლების შესაქმნელადაც, ვინაიდან წარმოებაში საქონელთან ერთად მისი მომხმარებელიც იქმნება“, — ვკითხულობთ წიგნის შესავალში, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას — თუ რა აქტუალური ეკონომიკური საკითხებია გამოკვეთილი, გაანალიზებული, არგუმენტირებული და დასაბუთებული წინამდებარე ნაშრომში.

წიგნში ავტორის მიერ საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ბიზნეს-სექტორისთვის შეთავაზებულია ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები და წინადადებები, რომელთა სამეურნეო ცხოვრებაში გატარება, ავტორის აზრით, ძლიერ გავლენას მოახდენს ხელისუფლების, მეცნიერებისა და ბიზნეს-სექტორის ეფექტიან თანამშრომლობაზე, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებაზე და დივერსიფიცირებაზე, საქართველოს კომპანიების საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მასში ჩამოყალიბებული და განვითარებული თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის იდეები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

როგორც წიგნის ერთ-ერთმა რეცენზენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თეიმურაზ შენგელიამ განაცხადა: „ამ მონოგრაფიულ ნაშრომს დიდი დატვირთვა გააჩნია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მეცნიერ-მკვლევარებისათვის. ეს არის უაღრესად საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ავტორის მიერ არის განხილული. ჩემთვის ყველაზე ღირებულია ის, რომ წიგნი არის ორიგინალური. აქ წარმოდგენილი შეხედულებები არა მარტო ღრმა მეცნიერული მნიშვნელობით, არამედ ავტორის ობიექტური შეფასებებითაც გამოირჩევა. მან საინტერესოდ დაუკავშირა ერთმანეთს ეკონომიკური ზრდისა და დივერსიფიკაციის პრობლემა. საყურადღებოა, რომ მათი შეერთება საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში ასე საინტერესოდ იშვიათად მომხდარა“, — აღნიშნა პროფესორმა თეიმურაზ შენგელიამ.

წიგნი „დივერსიფიკაცია — საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი“ განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამწყები და მოქმედი მეწარმეებისა და მენეჯერებისათვის, ასევე, დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

წიგნის პრეზენტაცია გაიმართა 30 ივნისს, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით, რომელსაც ესწრებოდნენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები.

წიგნის თარო

ხალხური მსოფლაღქმა და როზეტა გუჯეჯიანის მონოგრაფია

შურთხია ბეროშვილი

„თამარ დედოფლის დროს სვანეთში თოვლიც არ ყოფილაო“, — ჩაუწერია ცნობილ მკვლევარს ქსენია სიხარულიძეს სვანი მთხრობლისგან... ეს ამბავი, ერთი შეხედვით, მიამიტურიც არის, მაგრამ მასში მთელი სისრულით იკვეთება ისტორიული მეხსიერების მთავარი ფაქტი — ქართული სახელმწიფოებრიობის ოქროს ხანის ხსოვნა — თამარ მეფის დროინდელი ძლიერი საქართველოს ხატება... ასეთი ცოცხალი მაგალითები მრავლად არის თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ეთნოლოგის და ისტორიული ეთნოლოგიის სპეციალისტის როზეტა გუჯეჯიანის ახლად გამოცემულ სამეცნიერო მონოგრაფიაში: „ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები“, სადაც მთელი სიცხადით არის წარმოდგენილი ისტორიული მეხსიერების სხვადასხვა სეგმენტი და ისტორიის რეპრეზენტაციის საკითხები.

როგორც მონოგრაფიის ავტორი როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, წიგნის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2010 წლის ზაფხულში, მორიგი საველე ეთნოგრაფიული კვლევის დროს დაიბადა, როდესაც ქვემო სვანეთში (ლენტეხის რაიონი) ლეგენდარულ გმირად აღიარებული ყანსავ ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დიდძალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა. კვლევამ დაადასტურა, რომ გვიანი შუა საუკუნეების სვანეთში ეს პიროვნება ნამდვილად ცხოვრობდა და იგი მხოლოდ ფოლკლორული პერსონაჟი არ იყო.

„წიგნზე მუშაობის დაწყებას წინ უძღვოდა სხვა მოსამზადებელი ეტაპებიც: თორმეტამდე საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია როგორც საქართველოში, ასევე თურქეთის ეთნიკურ ქართველთა დასახლებებში; საარქივო მასალის მოძიება; შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (ქართული და უცხოური) დამუშავება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში შესული ცალკეული თავები გამოქვეყნებულია ქართულ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში. წიგნზე მუშაობა კი 2014 წელს დავიწყე“, — ამბობს როზეტა გუჯეჯიანი.

აღსანიშნავია, რომ წიგნში წარმოდგენილია ქართველთა ისტორიული მეხსიერების რამდენიმე სეგმენტი, ყურადღება გამახვილებულია ისტორიის რეპრეზენტაციის საკითხზე. ეთნოგრაფიულ და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოვლენილია ისტორიის რეპრეზენტაციის ზოგიერთი ეთნოგრაფიული ასპექტი.

წიგნი 7 თავისაგან შედგება. პირველ და მეორე თავებში ასახული ინფორმაცია უნივერსალურია საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისთვის: გაანალიზებულია დიდგორის გამარჯვებისა („ძლევაი საკვირველის“) და შემდგომ წმიდა თამარ მეფის ნათელი ხატების ადგილი და მნიშვნელობა ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში და ამ სიუჟეტების გამოვლინებები ტრადიციულ ქართულ ყოფაში. სხვა თავებში განხილულია ლოკალურ არეალებში — ქართველთა რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დალექილი ისტორიული მეხსიერების ფაქტები, როგორც მუდმივად აღდგენადი და გაცოცხლებადი თემები: გვიანი შუა საუკუნეების გმირის — ყანსავ ყიფიანის — სახება სვანეთში, კულტურული მეხსიერების ფაქტები მკვიდრ თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში (ისტორიული ტაო, იმერხევი, ზემო მაჭახელი, ნიგალის ხეობა), ისტორიული მეხსიერების ფაქტები თურქეთის რესპუბლიკის მარმარილოს ზღვის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შორის, ბათუმთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ასპექტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში და სხვ.

როგორც წიგნის ავტორი ამბობს, „კვლევის თემატიკა, ფაქტობრივად, ახალია ქართული მეცნიერებისათვის, რადგან მასში წარმოჩენილია ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები. ამ ტიპის კვლევები დიდი ხანია წარმატებით ხორციელდება ევროპასა და ამერიკაში. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტერესი ისტორიული (კულტურული) მეხსიერების, როგორც კვლევის ინტერდისციპლინური მიმართულების მიმართ, დღითიდღე იზრდება. ისტორიული მეხსიერების მკვლევართა შორის არიან ისტორიკოსები, კულტურის ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ფილოლოგები, სოციოლოგები. ისტორიული მეხსიერების კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, როგორც ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნისთვის. ამიტომ შევეცადე, რომ საქართველო ამ მხრივაც შეერთებოდა მსოფლიოში არსებულ სამეცნიერო ტენდენციებს. წიგნში წარმოჩენილია ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართველი ეთნოსის ისტორიული მეხსიერების ის დანაშრევები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ტრადიციულ ყოფაში. ასეთად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა — ქართველთა ისტორიული მეხსიერების საერთო და ლოკალური მახასიათებლები ისტორიულ-ეთნოგრაფიულ

მხარეთა მიხედვით: დიდგორის ომში გამარჯვების ასახულობა ქართულ ხალხურ ყოფაში, თამარ მეფის ნათელის სახება ქართველთა ტრადიციულ კულტურაში, მუჰაჯირთა შთამომავალ თუ ტაოკლარჯელ ქართველთა შორის არსებული ისტორიული მეხსიერების ფაქტები და სხვა. ვფიქრობ, რომ წიგნი დააინტერესებს არა მხოლოდ ქართული კულტურის სპეციალისტებს, სტუდენტებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც, რადგან მასში საუბარია ხალხურ მსოფლაღქმაზე, მოთხრობილია ხალხში დაცული ისტორიული ფაქტებისა და რეპრეზენტაციის ასპექტების შესახებ“.

როგორც წიგნის რეცენზენტი ქეთევან ხუციშვილი აღნიშნავს: „როზეტა გუჯეჯიანის მონოგრაფია მკვლევრის დაუღალავი შრომის შედეგია. ავტორი აანალიზებს უაღრესად მნიშვნელოვან სამეცნიერო საკითხს — თუ როგორ ხდება კონკრეტული კულტურული კონტექსტის ფარგლებში ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების კოლექტიურ მეხსიერებაში ფიქსირება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს როზეტა გუჯეჯიანის მიდგომის სიახლე — მან ყურადღება ეთნოლოგიურ მასალას მიაპყრო და მისი ისტორიულ წყაროებთან შეპირისპირების გზით მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა ქართველთა კოლექტიური ისტორიული მახსოვრობის ფორმირების მექანიზმების შესახებ. ამ მეტად საინტერესო მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების კოლექტიურ მეხსიერებაში ფიქსირებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტები და მათი ტრანსფორმაცია ეთნო-კულტურული თვითაღქმის ქვაკუთხედებად. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ენა აკადემიურთან ერთად ლიტერატურულად გამართულია, რაც მას მიმზიდველს ხდის როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთათვის, ასევე ფართე საზოგადოებისთვის. მონოგრაფიაში უხვად არის წარმოდგენილი ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა, საინტერესო განმაზოგადებელი დასკვნები და დასახულია კვლევის სამომავლო პერსპექტივები. ნაშრომი თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებსა და აპარატს ეფუძნება და ამ მხრივაც გამორჩეულია. როზეტა გუჯეჯიანის მონოგრაფია უდავოდ დიდი შენაძენია სამეცნიერო საზოგადოებისთვის“, — აღნიშნავს ქეთევან ხუციშვილი.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რეცენზენტები: პროფესორი ჯაბა სამუშია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა ხიდაშელი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი.

„მინდა მადლიერება გამოვხატო რედაქტორის და რეცენზენტების მიმართ, რომლებმაც საყურადღებო რჩევები მომცეს, რაც, ბუნებრივია, ნაშრომზეც აისახა“, — ამბობს მეცნიერი.

სპარსული ქრესტომათიის ახალი ტომი

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების თანადგომით, „სპარსული ქრესტომათიის“ ახალი ტომი გამოიცა, რომლის პრეზენტაცია 18 ოქტომბერს ირანისტიკის ოთახში გაიმართა.

წიგნის გამოცემის იდეის ავტორისა და ერთ-ერთი შემადგენელის, ირანისტიკის კათედრის გამგის, პროფესორ ნომადი ბართაიას ინფორმაციით, საქართველოში დღემდე არსებობდა ქართველი ირანისტების მიერ სხვადასხვა დროს (1963, 1967, 2006 წლებში) გამოცემული სპარსული ქრესტომათიები, რომლებიც ასახავს X საუკუნიდან დღემდე არსებულ სპარსულ ლიტერატურაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, თუმცა, გამოტოვებული იყო მნიშვნელოვანი მონაკვეთი, კერძოდ, სეფიანთა და მისი შემდგომი ხანა (XV-XX საუკუნეები). სწორედ ამ პერიოდის ლიტერატურული ნიმუშები შევიდა ახალ ქრესტომათიაში.

„ჩემი აზრით, ეს სერიოზული დანაკლისი გამოიწვია ამ პერიოდის ლიტერატურისადმი არაობიექტურმა მიდგომამ. ჯერ კიდევ დიდმა აღმოსავლეთმცოდნემ, სპარსული ლიტერატურის ისტორიის დიდმა მკვლევარმა ედუარდ ბრაუნმა და მერე, ასევე, დიდმა აღმოსავლეთმცოდნემ და სპარსული ლიტერატურის დიდმა მკვლევარმა ევგენი ბერტელსმა და სხვა მეცნიერებმა ვერ მოასწრეს კვლევისას გასცდენოდნენ სპარსული ლიტერატურის XV საუკუნეს, რაც იმის საბაბი გახდა, რომ მომდევნო ხანის სპარსული ლიტერატურის ოთხი საუკუნე გარკვეულწილად ჩრდილში მოექცა. აღსანიშნავია, რომ დღეს ირანში უკვე სეფიანთა ხანის სპარსულ მწერლობას არა დაცემის, არამედ განვითარების პერიოდის ლიტერატურად განიხილავენ, ამ მოსაზრებას ქართველი მკვლევრებიც ვიზიარებთ.

საგულისხმოა, რომ როდესაც 1963, 1967 წლებში ცნობილი ირანისტის დავით კობიძის მიერ სპარსული ქრესტომათიების და ტომი გამოიცა, საქართველოს ირანთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ამიტომ გმირობის ტოლფასი იყო მათი შედგენა და გამოქვეყნება, ამასთან, მასალის მიუწვდომლობის გამო ვერ მოხვდა სწორედ ეს პერიოდი ამ ქრესტომათიებში. ამიტომ არის ამ ტომის გამოცემა მნიშვნელოვანი“, — აღნიშნა ნომადი ბართაიამ.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, სწორედ ამ პერიოდში ბევრი გამაჰმადიანებული პოეტი თავისი მხატვრული სიტყვით ამდიდრებდა სპარსულ მწერლობას, ამიტომ ქრესტომათიაში მათ ნაწარმოებებს სპეციალური თავი: „ქართული წარმოშობის სპარსულენოვანი პოეტები“ დაეთმო.

„სპარსული ქრესტომათიის“ პრეზენტაციაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების გამგემ მოჯთაბა ქამრანფარდმა, რომელმაც ისაუბრა ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებზე და მაღალი შეფასება მისცა წიგნს. აღინიშნა, რომ ამ ქრესტომათიით უკვე დაინტერესდა ირანის მხარე, მაგალითად, თავრიზის უნივერსიტეტმა მისი ხუთი ეგზემპლარი მოითხოვა.

ქრესტომათიის გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ირანელმა პროფესორმა ლეილა რეზაიმ, წიგნის ერთ-ერთმა შემდგენელმა ალექსანდრე ელერდაშვილმა, პოეტმა და მთარგმნელმა ბელა შალვაშვილმა, ირანელმა პროფესორმა ქამიაბიმ, პროფესორმა მაია სახოკიამ, წიგნის რეცენზენტმა ფატი ანთაძემ და სხვებმა. აღინიშნა, რომ ეს წიგნი დაეხმარება ირანისტიკის დარგის სტუდენტებსა და სპეციალისტებს, რომლებსაც აქამდე ხელი ვერ მიუწვდებოდათ სპარსული ლიტერატურის ამ საინტერესო პერიოდის ტექსტებზე.

ირანელმა პროფესორმა, სპარსული ლიტერატურის სპეციალისტმა ჯაჰედიჯამ კი ახალი ქრესტომათია ირან-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შორის გაჭრილ კიდევ ერთ ლამაზ ფანჯარას შეადარა.

ვაკანსიები დასაქმებისთვის

თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების და სტაჟირებების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიაკითხეთ თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრს (თსუ II კორპუსი ოთახი № 103).

■ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ აცხადებს სტაჟირებას დებიტორებთან ურთიერთობის მართვის სამსახურში.

სამუშაოს ადგილმდებარეობა: თბილისი, პუშკინის 3;
სტაჟირების ხანგრძლივობა: 3 თვიანი (არაანაზღაურებადი);
სამუშაო განრიგი: ორშაბათი — პარასკევი (10:00-18:00);
ძირითადი მოთხოვნები:
— უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვანია ტექნიკური მიმართულებით ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
— სასურველია საბანკო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
— საოფისე პროგრამების მომხმარებლის დონეზე ცოდნა.
პიროვნული უნარები:
— სიზუსტე და სისწრაფე;
— დეტალებზე ორიენტირებული;
— ორგანიზებული;
— დროის მართვის უნარი;
— კომუნიკაბელური.

დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, გამოაგზავნეთ CV ელექტრონულ მისამართზე: hr@aldagi.ge **2017 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით**.

გთხოვთ, Subject line-ში მიუთითოთ „სტაჟიორი დებიტორებთან ურთიერთობის მართვის სამსახურში“.

■ „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ აცხადებს კონკურსს ინგლისური ენის სტაჟიორის ვაკანტურ პოზიციაზე.

თუ ხართ თქვენი საქმის პროფესიონალი, ეცნობით და იყენებთ სწავლების ახალ მეთოდებს, ზრუნავთ თვითგანვითარებაზე და არ გეშინიათ — გახდეთ ცნობისმოყვარე მოსწავლეების მასწავლებელი, მაშინ ნიუტონის თავისუფალი სკოლის გუნდში ადგილი თქვენთვისაც მოიძებნება.

ნიუტონის თავისუფალი სკოლა ეძებს ინგლისური ენის სტაჟიორს.
კვალიფიკაცია:
— შესაბამისი განათლება
— კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.
უნარ-ჩვევები:
— პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
— ეფექტური კომუნიკაცია;
— ორგანიზებულობა;
— კონფლიქტური სიტუაციების ეფექტური მართვა;
— კრეატიულობა;
— გუნდური მუშაობის უნარი;
— პუნქტუალურობა.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის საფუძველზე; მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ CV შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: vacancy@newton.edu.ge და სათაურის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2017 წლის 31 ოქტომბერი**.

■ სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“ აცხადებს ვაკანსიას სადაზღვევო აგენტის პოზიციაზე.

ჩვენ გთავაზობთ:
— საინტერესო და პრაქტიკულ ტრენინგებს სადაზღვევო პროდუქტებსა და გაყიდვების ტექნიკებში;
— წამახალისებელ გათამაშებებს და შეჯიბრებებს გაყიდვების გუნდში;
— კარიერული ზრდის შესაძლებლობებს;
— მეგობრულ ატმოსფეროს;
— სტუდენტებზე მორგებულ სამუშაო გრაფიკს;
— ფიქსირებულ ანაზღაურებას + საკომისიო.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
— სრული ან არასრული უმაღლესი განათლება;
— საოფისე კომპიუტერული პროგრამების ფლობა (Windows, MS Office and E-mail) (სავალდებულოა);
— ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (სასურველია);
— გაყიდვების/მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
— სადაზღვევო სფეროში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება პრიორიტეტად.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გადმოაგზავნოთ თქვენი სრულყოფილი CV ელექტრონულ მისამართზე: career@icgroup.ge და საგანში (subject) მიუთითოთ პოზიციის სახელწოდება — „სადაზღვევო აგენტი“ (ლათინური შრიფტით).

განაცხადები მიიღება **2017 წლის 1 ნოემბრამდე**.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გასაუბრების ჩასატარებლად კანდიდატთა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას დავუკავშირდებით.

■ დასაქმების შესაძლებლობა კურსდამთავრებულებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში და აქვთ სურვილი დასაქმდნენ ქ. ბათუმში.

სს „პოლიგრაფისტი““ აცხადებს ვაკანსიებს იურისტისა და ბუღალტრის პოზიციაზე.

სამუშაო გრაფიკი: სრული განაკვეთი
განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 03.11.2017

სს „პოლიგრაფისტი“ აწარმოებს ავეჯს, უახლოეს მომავალში იგეგმება საღებავების წარმოება, ასევე მშენებლობა/რემონტის მიმართულებების განვითარება.

დაინტერესების შემთხვევაში რეზიუმე გადააგზავნეთ ელ. მისამართზე: poligrafisti10@gmail.com

■ აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია აცხადებს ადმინისტრაციული ასისტენტის ვაკანსიას (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
— უმაღლესი განათლება;
— სავალდებულოა მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება ადმინისტრაციული კუთხით;
— სავალდებულოა ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
— სასურველია 1C პროგრამაში მუშაობის გამოცდილება;
— კომპიუტერული საოფისე პროგრამების მომხმარებლის დონეზე ცოდნა (Ms Word, MS Excel)

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე მისამართზე hr@bdo.ge. გთხოვთ, Subject-ში მიუთითოთ „ადმინისტრაციული ასისტენტი“. **განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 31.10.2017**

■ SavvY Consulting არის ადგილობრივი ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, რომლის მიზანია საქართველოში ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესება და თანამედროვე პროფესიონალური ბიზნესის მართვის სტანდარტების დანერგვა.

SavvY-ს სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, კომპანია ეძებს მოტივირებულ და მიზანდასახულ სტაჟიორებს, რომლებიც შემოუერთდებიან ჩვენს გუნდს და ჩაებმებიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში. პროგრამის მონაწილეებს ექნებათ მიმდინარე საინტერესო პროექტებზე მუშაობის საშუალება — ისინი მიიღებენ გამოცდილებას კომპანიის სამივე დეპარტამენტში — ფინანსური, მენეჯმენტი და Business Solutions.

იდეალურ კანდიდატს უნდა გააჩნდეს სწავლის და მუდმივი განვითარების სურვილი. ასევე, ის უნდა იყოს მოტივირებული როგორც საქართველოს, ასევე რეგიონალური ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად.

წარმატებულ კანდიდატებს ჩვენ ვთავაზობთ:
— საინტერესო და ინოვაციურ სამუშაო გარემოს;
— კონკურენტულ ანაზღაურებას და სხვა დამატებით ბენეფიტებს;
— მუდმივი პროფესიული განვითარების პროგრამის დაფინანსებას (ACCA, PMP, CFA, Harvard Business School-ის და სხვა წამყვანი უნივერსიტეტების ოფიციალურ კურსებს, ასევე ონლაინ და Campus ტრენინგებს);
— თანამედროვე მუშაობის ხარისხის შეფასების სისტემას, რომლის მიხედვითაც კანდიდატს ექნება საშუალება სწრაფი კარიერული განვითარების და მისი მუშაობის ხარისხის მუდმივი ობიექტური შეფასების შესაძლებლობა.
— სტაჟირების შემდგომ კომპანიაში პოზიციის შეთავაზების შესაძლებლობას.
აუცილებელი მოთხოვნები:
— განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;
— სულ მცირე 3.0 (GPA) — (გთხოვთ, CV-ში აუცილებელია მიუთითოთ);
— ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა, დამატებით სასურველია ერთი უცხო ენის კარგ დონეზე ცოდნა;
— პროგრესული აზროვნების უნარი;
— ტექნოლოგიებთან და სისტემებთან მუშაობის უნარი;
— მიზანდასახულობა და ამბიციური კარიერული გეგმები;
— ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;
ასაკი: 20-25 წელი;
სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი; სრული განაკვეთი
ხანგრძლივობა: 3 თვე
ანაზღაურება: კი

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოაგზავნეთ თქვენი CV და შევსებული აპლიკაციის ფორმა **10 დეკემბრის** ჩათვლით შემდეგ ელ. ფოსტაზე: info@savvy.ge

შევსებული აპლიკაციის ფორმის გარეშე თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

■ კომპანია „ქარვა“ (IPTV და OTT ტელევიზიის პროგრამული უზრუნველყოფის ინოვაციური მიმნოდებელი გლობალურ ბაზარზე) აცხადებს ვაკანსიას მორიგე ოპერატორის პოზიციაზე.

მოთხოვნები:
— Microsoft-ის ოპერაციულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;
— Unix სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;
— ქსელურ მოწყობილობებთან მუშაობის გამოცდილება;
— Microsoft-ის საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება;
— სასურველია რუსული ან ინგლისური ენების ცოდნა
მოვალეობები:
— IT სისტემის და ინფრასტრუქტურის მონიტორინგი:
ა) სერვერების მონიტორინგი — OS Linux (არსებული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით);
ბ) ოპტიკური და ხვეული წყვილების ქსელის დატვირთვის მონიტორინგი (არსებული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით);
გ) IPTV მაუწყებლობის ხარისხის კონტროლი;
დ) აღმოჩენილ პრობლემებზე რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების დროულად ინფორმირება.
უნარ-ჩვევები:
— პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
— გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
— სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.
სამუშაო გრაფიკი: მორიგეობა ყოველ მეოთხე დღეს 24 საათი.
სახელფასო განაკვეთი: 500 ლარიდან ზევით.

დაინტერესების შემთხვევაში რეზიუმე გამოაგზავნეთ **30 ოქტომბრის** ჩათვლით მოცემულ ელ. მისამართზე: mkikacheishvili@qarva.com

■ იურიდიული ფირმა — შპს „ჯი ელ ეს“ აცხადებს ანაზღაურებად სტაჟირებას იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და/ან კურსდამთავრებულთათვის.

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:
— იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა, მათ შორის სარჩელისა და შესაგებლის მომზადება;
— სასამართლოში საქმისწარმოების მეთვალყურეობა;
— მარწმუნებლების ინტერესების დაცვა სასამართლო პროცესზე;
— სხვა იურიდიული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება უშუალო უფროსის დავალების შესაბამისად.
კვალიფიკაცია:
— უმაღლესი იურიდიული განათლება ან იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
— სამოქალაქო კანონმდებლობის ცოდნა;
— ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
— საოფისე პროგრამების ცოდნა;
— ანალიტიკური აზროვნების უნარი;
— მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
— აქტიური, კომუნიკაბელური, პუნქტუალური, შრომისმოყვარე;
— გუნდური მუშაობის უნარი.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ რეზიუმე გამოაგზავნონ **13 ნოემბრამდე** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: glesinfo2017@gmail.com

ინფორმაცია მოცემულია: http://jobs.ge/155527/

■ კომპანია „ბიდიო“ აცხადებს ვაკანსიას უფროსი აუდიტორის პოზიციაზე (ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
— უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;
— ACCA-ის სტუდენტი;
— მინიმუმ 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიმართულებით. სასურველია საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიაში მუშაობის გამოცდილება;
— ქართული და ინგლისური ენის და მართლწერის მაღალ დონეზე ცოდნა;
— საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office) მაღალ დონეზე ცოდნა;

დაინტერესებულმა კანდიდატებმა გამოგზავნეთ CV მისამართზე hr@bdo.ge. გთხოვთ სათაურის ველში მიუთითოთ „უფროსი აუდიტორი“. **განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 31.10.2017**

ბმ. 15

გახსენება

ჯვალი, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელობასაც და მომავალსაც

ძნელია ზაზა გაჩეჩილაძეზე წარსულში ილაპარაკო. იგი ყველას — მის კოლეგებს, სტუდენტებს, იმათაც კი, ვინც მხოლოდ შორიდან იცნობდა — მოაგონდება, როგორც უაღრესად ენერგიული, ახალი და საინტერესეო იდეებით სავსე ადამიანი, რომლის მაღალი ერუდიცია და პიროვნული მომხიბვლელობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ზაზა გაჩეჩილაძის მოღვაწეობა თანაბრად მნიშვნელოვანი იყო, როგორც ინგლისური ლიტერატურის კვლევისა და სწავლების, ასევე მთარგმნელობით და ჟურნალისტიკის სფეროში. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი მაინც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნოდა — მშობლიურ უნივერსიტეტს, სადაც ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორი ნაშრომი შეასრულა და მკვლევრად ჩამოყალიბდა. მშობლიურ უნივერსიტეტთან მას სახელოვანი მამის — ცნობილი მთარგმნელისა და მკვლევრის, პროფესორ გივი გაჩეჩილაძის მოღვაწეობაც აკავშირებდა, რომლის გზა ბატონმა ზაზამ ღირსეულად გააგრძელა. ზაზა გაჩეჩილაძის ცოცხალი, არასტანდარტული ლექციები სტუდენტთა არაერთი თაობისათვის იყო გზამკვლევი არა მხოლოდ ინგლისურ ლიტერატურაში, არამედ იყო თავისუფალი აზრის საუკეთესო ნიმუშიც.

ზაზა გაჩეჩილაძის პროფესიულ ზრდაში დიდი როლი შეასრულა ინგლისში სამეცნიერო მივლინებამაც. მისი ხელმძღვანელი, პროფესორი ნატალია ორლოვსკაია სიამაყით იტყოდა ხოლმე, რომ ჰუმანიტარულ დარგში ზაზა გაჩეჩილაძე აღმოჩნდა ყველაზე ახალგაზრდა მკვლევარი, რომელსაც ხარისხი ჰქონდა და ინგლისურ ენას ფლობდა, რამაც განაპირობა მასზე არჩევანის შეჩერება. საბჭოთა პერიოდში ევროპაში, მითუმეტეს ინგლისში კვლევითი მივლინება ძალიან იშვიათი რამ იყო, ამიტომ, ალბათ, ზედმეტია იმის ახსნა, თუ რაოდენ საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მისი კოლეგებისა და სტუდენტებისათვის ზაზა გაჩეჩილაძის შთაბეჭდილებები და ის გამოცდილება, რაც მან ინგლისში ყოფნისას მიიღო.

ზაზა გაჩეჩილაძე არა მხოლოდ გამორჩეული მკვლევარი და ლექტორი იყო, არამედ მთარგმნელიც. მან წარმატებით დაასრულა გივი გაჩეჩილაძის მიერ დაწყებული შექპირის „ტროილოსისა და კრესიდას“ თარგმნა; ამ თარგმანს მალე სომერსეტ მოემის „შეჯამება“ მოჰყვა. ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ ზაზა გაჩეჩილაძე მოთხრობებსაც წერდა. ქართული ენის ღრმა ცოდნა და მაღალი კულტურა გამოსჭვივის მისი ორივე მონოგრაფიიდან: „დილან ტომასის პოეზია“ და „ჯეფრი ჩოსერი“. ორივე მონოგრაფია პირველი მცდელობაა საქართველოში ამ ავტორების მეცნიერული კვლევისა.

სწორედ სიტყვისა და თარგმნის სიყვარულმა მიიყვანა იგი ჟურნალისტიკაში. მან პირველი ინგლისურენოვანი გაზეთი დააფუძნა საქართველოში — „The Georgian Messenger“, რომელიც დღესაც ერთადერთი ყოველდღიური ინგლისურენოვანი გაზეთია. თავად არაერთხელ უთქვამს, სავსებით სამართლიანად, რომ ამით ელისაბედ ორბელიანის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში დაწყებული „The Georgian Messenger“-ის გამოცემის ტრადიციას აგრძელებდა.

ზაზა გაჩეჩილაძე იყო არა მხოლოდ ინგლისური ლიტერატურის აღიარებული მკვლევარი და მთარგმნელი, არამედ მეცნიერების ძალიან კარგი ორგანიზატორი. ეს თვისება კარგად ჩანს არა მხოლოდ მის მიერ გაზეთის დაფუძნებასა და მის წარმატებულ ხელმძღვანელობაში, არამედ საუნივერსიტეტო საქმიანობაშიც: იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თსუ-ის ინგლისური ენის კათედრას. მისმა დაუღალავმა მონდომებამ და მცდელობამ დიდი როლი ითამაშა ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის დახვეწასა და მოდერნიზებაში, ახალი სასწავლო მეთოდებისა და პროგრამების შემუშავებაში. ყველაფერს ამას კი მისი მაღალი პროფესიონალიზმი და უნივერსიტეტისადმი უსაზღვრო სიყვარული ედო საფუძვლად.

უნივერსიტეტი მართლაც გამორჩეულად უყვარდა. ამიტომ, მიუხედავად ავადმყოფობისა, ყოველთვის სიხარულითა და სიამოვნებით იღებდა მოწვევას — მონაწილეობა მიეღო სადისერტაციო საბჭოს მუშაობაში, დისერტაციის რეცენზირებაში, სამეცნიერო კონფერენციებში. მისი ბოლო ესე — „ჰამლეტი, დონ კიხოტი და დათა თუთაშხია“ — სწორედ უნივერსიტეტში გამართულ შექსპირის საიუბილეო კონფერენციაზე — „შექსპირი 450“ — წაიკითხა და ეს ესე ამავე კონფერენციის კრებულშია დაბეჭდილი.

ძნელია ზაზა გაჩეჩილაძეზე წარსულში ილაპარაკო... ალბათ, არც არის საჭირო მასზე წარსულში ვილაპარაკოთ, რადგან ზაზა გაჩეჩილაძე იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც ყველა სფეროში, სადაც იღვაწეს — ინგლისური ლიტერატურა იქნება ეს, მთარგმნელობითი საქმიანობა თუ ჟურნალისტიკა, ნათელი კვალი დატოვეს... კვალი, რომელიც განსაზღვრავს დღევანდელობასაც და მომავალსაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი

50 წელი მან მშობლიური უნივერსიტეტის სამსახურში გაატარა

თურქოლოგიაში არსებული ენისა და ლიტერატურის მოდულების განვითარება ირინე გოცირიძის სახელთანაა დაკავშირებული. იგი ფილოლოგი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ანუ ერთნაირად წარმატებული როგორც ოსმალური და თურქული ენების, ასევე ძველი და ახალი თურქული ლიტერატურის სწავლების საქმეში. ირინე გოცირიძე თავისი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს სერგი ჯიქიას ყაიდის პედაგოგი იყო და განსხვავდებოდა დღეს მოღვაწე თურქოლოგებისაგან, რომლებიც ან მხოლოდ ენის სპეციალისტები არიან, ან მხოლოდ ლიტერატურის.

მისი კვლევის სფეროში შედიოდა როგორც დივანისა და თანზიმათის ეპოქის პოეტთა თუ მწერალთა შემოქმედება, ასევე თურქული ენის გრამატიკული წყობის ცალკეული საკითხები. კონფერენციებზე ყოველწლიურად გამოდიოდნენ მისი სტუდენტები. მისი მოწაფეები დღეს უკვე ცნობილი სპეციალისტები არიან. ამავდროულად იგი ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებსა და დისერტანტებს, ხშირად იყო ოპონენტი.

უნივერსიტეტში მუშაობის 55 წლის განმავლობაში ირინე გოცირიძეს (იგი 81 წლისა გარდაიცვალა) მიჰყავდა შემდეგი კურსები: თურქული ენა, ოსმალური ენა, ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი, ძველი, კლასიკური და თანამედროვე თურქული ლიტერატურის ისტორია, სპეცკურსი თურქულ ენაში, სპეცკურსი თურქულ ლიტერატურაში და სხვა. მის ნაშრომებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა როგორც რუსულ, ასევე უცხოურ თურქოლოგიაში.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა ირინე გოცირიძემ თურქულიდან მრავალი რომანი, პიესა, მოთხრობა თუ ლექსი თარგმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რეზონანსი, რაც თავის დროზე ოპერა „დაისის“ ლიბრეტოს მისეულ თარგმანს მოჰყვა. ამთავითვე უნდა ითქვას ერთიც: თურქულიდან მშობლიურ ენაზე თარგმნა ბევრს ეადვილება, პირუკუ — მხოლოდ ირინე გოცირიძეს. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მაგრამ გვინდა წარმოვაჩინოთ მისი განსაკუთრებული ღვაწლი სწავლების საქმეში: მან შეადგინა მართლაც თაობების აღმზრდელი (1) ქრესტომათია, რომელიც საერთაშორისო თურქოლოგიურ კატალოგში არის შეტანილი. თურქი ლინგვისტების მიერ მოწონებულია მისი (2) სასკოლო და (3) საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.

ქალბატონი ირინე თხუთმეტი წლის განმავლობაში (1985-1999 წწ.) იყო სწორუპოვარი ავტორიტეტის მქონე დეკანი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა.

ჩვეულ მოკრძალებულობას იგი უთავსებდა მოქალაქეობრივ სიმამაცეს, რაც გამოვლინდა კიდეც ბაზალეთის ტბის პირას ე.წ. თურქული უნივერსიტეტის დაფუძნების მცდელობით გამოწვეულ საგაზეთო პოლემიკაში. მამულიშვილური ხედვით იყო გაჯერებული მისი მხოლოდ თარჯიმნობით არშემოფარგლული მოღვაწეობა თურქეთში, მრავალი წლის წინ ქალაქ იზმირში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე.

ქალბატონი ირინე გამოირჩეოდა სამაგალითო ერთგულებით უნივერსიტეტისადმი 50 წელი მან მშობლიური უნივერსიტეტის სამსახურში გაატარა.

მუდამ გვემახსოვრება!

მარიკა ჯიქია,
თურქოლოგიის კათედრის გამგე

ვაკანსიები დასაქმებისთვის

მე-14 გვ-დან

■ **აუდიტორული კომპანია ფინანსური ოფისი აცხადებს ანაზღაურებად სტაჟირებას ბუღალტრის თანაშემწის პოზიციაზე. სტაჟირების პერიოდის წარმატებით გავლის შემთხვევაში მოხდება სტაჟიორის დასაქმება სრული განაკვეთით ბუღალტრის თანაშემწის პოზიციაზე.**

ძირითადი მოთხოვნები:

— ეკონომიკის/ბიზნესის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან ACCA-ს პირველი დონის სტუდენტი;

— ქართული ენა — სრულყოფილად, რუსული და ინგლისური ენები სასაუბრო დონეზე;

— პროგრამების ცოდნა: MS Office;

— საბუღალტრო პროგრამის ცოდნა სასურველია.

ძირითადი მოვალეობები:

— ბუღალტრული დოკუმენტაციის შევსება/დამუშავება;

— ელ. ფაქტურების/ზედნადებების მიღება-გამოწერა;

— ხელშეკრულების პირობების შევსება/დამუშავება;

— ელ. პროგრამაში ინფორმაციის შეტანა/დამუშავება;

— კლიენტებთან ურთიერთობა/კორესპონდენცია;

სტაჟირების პირობები: შერჩეული კანდიდატები გაივლიან 3 თვიან სტაჟირებას ბუღალტრულ განყოფილებაში, სადაც შეისწავლიან: საბუღალტრო პროგრამებს, პირველად საალრიცხვო დოკუმენტაციასთან მუშაობას, საგადასახადო კოდექსს და სხვა პროფესიული უნარების განსავითარებელ ტრენინგებს.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა რეზიუმე ფოტოსურათთან ერთად გამოაგზავნეთ მისამართზე: hr@fino.ge ამა წლის **11 ნოემბრის** ჩათვლით. გთხოვთ განცხადებაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება ბუღალტრის თანაშემწე“, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი კანდიდატურა არ განიხილება.

■ **აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია აცხადებს 6 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას აუდიტის განყოფილებაში ასისტენტის პოზიციაზე.**

სტაჟირების პერიოდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კადრი დასაქმდება კომპანიაში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

— უმაღლესი განათლება ეკონომიკის, ფინანსების განხრით, სასურველია ფინანსური აღრიცხვის, აუდიტის ან ბუღალტერიის სპეციალობით (დამამთავრებელი კურსი ან/და კურსდამთავრებულები);

— ინგლისური ენის ცოდნა;

— კომპიუტერული საოფისე პროგრამების საბაზისო ცოდნა;

— ეფექტური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

— ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება;

— პასუხისმგებლობის გრძნობა;

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე მისამართზე hr@bdo.ge. გთხოვთ, Subject-ში მიუთითოთ „ასისტენტი — აუდიტი“. **განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 31.10.2017**

„ᲮᲣᲐᲜᲮᲔᲓᲐᲚᲔᲣᲚᲗᲐ“ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲮᲣᲐᲜᲮᲔᲓᲐᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘ“, — ᲐᲡᲔ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚᲘ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ IV ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ — ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ, ᲗᲔᲝᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲦᲚᲐᲫᲔ ᲭᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲮᲐᲜᲭᲝᲣᲨᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲔᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲪᲜᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ. „ᲭᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲐᲖᲘᲡᲝ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲩᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲔᲣᲤᲚᲔᲗ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ, ᲙᲐᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲐᲪ ᲕᲡ�წᲐᲕᲚᲝᲑᲓᲘᲗ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲕᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲝᲪᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲝᲒᲒᲕᲔᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲘᲜᲔᲗᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲣ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡ“, — ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔᲛ.

ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ



ᲒᲕᲘᲧᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲜᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ. „ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲝᲠᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲔ, ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲕᲐ ᲘᲥᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ: ᲔᲠᲗ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ �თᲔᲐᲢᲠᲘ, ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲞᲔᲓᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲣ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡ“, — ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲗᲐᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔᲛ.

ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ �გᲕᲘᲙᲘ�თᲮᲐᲕᲔᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲛᲮᲚᲝᲓ ᲛᲐᲘᲜᲝᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲤᲐᲡᲓᲔᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲗᲔᲝᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲦᲚᲐᲫᲔᲪ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲘᲔᲠᲝᲒᲚᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲪ ᲩᲘᲜᲔᲗᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲪ ᲩᲘᲜᲔᲗᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲐᲛᲓᲔᲐ ᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ „ᲒᲐᲫᲐᲚᲔᲑᲔᲜ“, ᲠᲝᲛ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑ, ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲩᲘᲜᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝ“, — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲛᲐᲜᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ „ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2007 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ, ᲝᲠ ᲛᲝᲓᲣᲚᲡ — ᲡᲘᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡ (ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ) ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲗᲡᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

U.S.News&World Report-ᲘᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ 359-Ე ᲐᲓ�გᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ. 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 74 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 1250 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ.

U.S.News&World Report ᲣᲙᲕᲔ 30 ᲬᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 1000 ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ.

U.S.News&World Report ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲡ 13 ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘ�ნᲔᲑᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, �პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ, ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ, ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲡ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ.

2018 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲨᲨ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ — 221 ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔᲐ ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ 359-Ე ᲐᲓ�გᲘᲚᲖᲔ 49.6 ᲥᲣᲚᲘᲗ. ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲡᲣ ᲣᲡᲬᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ, ᲑᲝᲠᲓᲝᲡ, ᲒᲘᲡᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

U.S.News&World Report ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ, ᲠᲝᲛ �გᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲜᲟᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲗᲝᲠᲐᲫᲔ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲯᲣᲠᲮᲐᲫᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ᲜᲐᲗᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ
�თᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ
ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ